პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
ხუთშაბათი
16 აპრილი
№ 89 (18031)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

XI ხუთწლედის ჰორიზონტები

მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის დამთავრდება საწარმოო გაერთიანება-ქუთაისის სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის რეკონსტრუქცია. საწარმო ყოველწლიურად 15 ათას მცირეგაბარიტიან ტრაქტორსა და 35 ათას მოტობლოკს დაამზადებს.

რაც მისხალ-მისხალ გროვდებოდა, რაც ფასდაუდებელი მონაპოვარია

60

ამთავრდა 1981 წლის პირველი კვარტალი. კარგა ხანია მობრძანდა გაზაფხული ახალი ხუთწლედისა, თითქოს ისეთივე, როგორიც შარშანდელი და შარშანწინდელი, და მაინც განსხვავებული, განსაკუთრებული.

რით?

იმით, რომ ამ კვარტალმა მარტო ორი კალენდარული წლის გასაყარ-შესაყარს რიდი დაგვაცილა. მან ახალ მეთერთმეტე ხუთწლედს მისცა დასაბამი.

მასშტაბურობის, დიდი სივრცეების, ფართო განზომილებათა თვალსაზრისით კიდევ არის რამ უჩვეულო. სახელდობრ ის, რომ 1981-ით იწყება XX საუკუნის 80-იანი წლები. სულ ერთადერთი თაობის ყმაწვილკაცობის ხანი გვაცილებს XXI საუკუნის კარიბჭეს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას სწორედ მასშტაბური აზროვნების, დღევანდელობის ფართო განზომილებების კუთხით ხედვის და მომავლის სივრცეების ჭვრეტის ჟანი უდგას. დიდი მიზნისათვის შრომასა და გარჯაში სწრაფად მავალმა დრომ ჩვენს დიდ ქვეყანას შორი პერსპექტივის სიცხადე და სინათლე მოუტანა. აკი პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი, აი უკვე მეორე თვეა ჩვენი ცხოვრების კანონად რომ იქცა, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ძირითად მიმართულებებს 10 წლიან, 1990 წლამდე საზღვრავს.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის ამბავი მოვიკითხოთ და, მოჭრით თუ ვიტყვით, მხოლოდ დასკვნას და შედეგს თუ შევეხებით, ხომ მართალია, რომ საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების ბოლო წლები მჩქეფარე, ამაღლებული მიზნებისადმი სწრაფვის, შინაარსიანი მოღვაწეობისა და გააზრებული აღმაფრენის წლებია.

შეიძლება პირდაპირ და გადაუჭარბებლად ვთქვათ: საბჭოთა საქართველოს და მისი კომპარტიის სახელოვანი 60-წლიანი ისტორიის სწორედ უკანასკნელი 8-9 წლის მონაკვეთი რევოლუციური ბრძოლის ჟინით, აღტყინებით, გაბედულებითა და თვით სამ ბრძოლის შედეგებით ათწლეულების ბადალია.

მას შემდეგ, რაც ხალხმა და რესპუბლიკის კომპარტიამ ხელი მოაჭიდეს პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების რეალიზაციას, ჯერ მორალურ-ზნეობრივად და შემდეგ არსებითად თანდათან ყავლი გაუდის მატერიალურ ღირებულებათა შესაქმნელად გაწეული შრომისა თუ სხვა საზოგადოებრივი საქმიანობის ინერციისმიერ, მექანიკურ, ზოგჯერ კი შეუმეცნებელ და გაუაზრებელ პრაქტიკას, სულ უფრო და უფრო მკვიდრდება და იბრჯნება მოქალაქეობრივი მოვალეობის აღქმის საფუძველზე, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, ენთუზიაზმით, შემოქმედებითად გაწეული შრომისა და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობის პრაქტიკა. სწორედ ამით აიხსნება დიადი მიზნის — კომუნიზმის მშენებლობის გზაზე საქართველოს კომუნისტებისა და მშრომელების დიდი მიღწევები დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში.

სხვაი და დოვლათი, მატერიალური და სულიერი საუნჯე ხალხის ნებით, მარჯვენით, აზრით, ცდით და მონდომებით არის მონაგარი.

ოლონდ ხალხის ცდას და მონდომებას სხვადასხვანაირი ნაყოფი შეიძლება ჰქონდეს, იმისდა მიხედვით, თუ როგორია ხალხის წარმმართველი ძალის, ქვეყნის ხელმძღვანელი კომუნისტური პარტიის მიერ ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურული ცხოვრების მართვის მეთოდები და პრინციპები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ განვითარებული სოციალიზმის ეტაპის ერთი ათწლეულის შედეგიანობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში წინა ხუთ ათწლეულს უტოლდება.

და ყოველივე ეს მოპოვებულია მთელ ჩვენს ქვეყანაში მართვის, მუშაობისა და ცხოვრების ლენინური სტილისა და მეთოდების დანერგვით.

„იგივე ითქმის ჩვენს რესპუბლიკაზეც, რომელიც განუყოფელი ნაწილია მთლიანი სოციალისტური სახელმწიფოსი, ორგანულად ერწყმის ერთიან მატერიალურ-ეკონომიკურ კომპლექსს.

აი რა თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე სანანგარიშო მოხსენებაში:

„რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის მნიშვნელოვან დაჩქარებას მიაღწია საქართველოს კომპარტიამ“.

60 წლის საბჭოთა საქართველოს თვალსაჩინო აღმასვლა აქვს ბოლო წლებში. რვაჯერ ზედიზედ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება, მოსავლისა და შენების რეკორდები, ოველწლიურად ბევრი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის მიხედვით საშუალო საკავშირო დონესთან გათანაბრება და გადამეტება — ასეთია „აღმართ-აღმართ მიმავალი დიდება“.

და აქაც ყოველივე ამის პირობაა ის, რომ სახალხო მეურნეობის მართვა, საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმირთვა მეცნიერულ ანგარიშს ეფუძნება, ლოგიკას, საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნას და გათვალისწინებას ექვემდებარება.

დასტურად აი მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამ. უ. ჩერნენკოს წიგნიდან „პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის საკითხები“, რომელიც შარშან მოსკოვში გამოიცა.

„პარტიული მუშაობის სრულყოფის, პარტიული და სახელმწიფო აპარატის საქმიანობის გაუმჯობესების საგრძნობი პოზიტიური ძვრა მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში. ღონისძიებებმა, რომლებიც რესპუბლიკის პარტიულმა კომიტეტებმა, ყველა კომუნისტმა განახორციელეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად, ხელშესახები დადებითი ნაყოფი გამოიღო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის, ბევრი საქალაქო და რაიონული კომიტეტისათვის, მათი აპარატისათვის დღეს დამახასიათებელია დიდმნიშვნელოვანი და რთული ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტის ყველაზე ეფექტიანი გზების შემოქმედებითი ძიება, ეკონომიკის მართვის პრობლემებისადმი მეცნიერული მიდგომა, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანების განხილვაში ფართო პარტიული აქტივის, მშრომელი მასების ჩაბმა და მართვის სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავება“.

ეს ავტორიტეტული შეფასება თავის მხრივ ნათლად დასტურდება განვლილი ძნელი და მღელვარებით აღსავსე გზით.

იმ მტკიცე გადაწყვეტილებამ, რომ ბევრი რამ ძირფესვიანად შეგვეცვალა, მოგვეხდინა გარდაქმნები, ახლებურად გველვანა და გვეცხოვრა, დღის წესრიგში დააყენა კიდეც მუშაობის უფრო ეფექტიანი, უფრო საზრიანი ქმედითი ფორმებისა და მეთოდების შემუშავება-გამოყენების აუცილებლობა. ეს უპირველესად საჭირო იყო რესპუბლიკის მშრომელთა ავანგარდისათვის — პარტიული ორგანიზაციისათვის. დღეს უკვე საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშაობის გამოცდილების საგანძურში ბევრი საყურადღებო სიახლეა.

ჰოდა, წლეულს იანვარში გამართული საქართველოს კომუნისტთა უმაღლესი ფორუმის შემდეგ, სწორედ ამ ყრილობის მასალების აღქმითა და გამოყენებით, თითქოს გარდაუვალი მოთხოვნილებაა, დაუოკებელი სურვილი იბადება ერთხელ კიდევ გაუზედოთ განვლილ გზას, გავიხსენოთ მისი ნიშანსვეტები და ეტაპები, ვიწრო და ფართო ადგილები, შუქნიშნები და გადასახვევები.

როგორც, ვიმედოვნებთ, მკითხველი შენიშნავდა, გაზეთმა „კომუნისტმა“ ყრილობის წინ მას მოკრძალებით შესთავაზა სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების მეათე ხუთწლედის მატიანე, შევეცადეთ გაგვეაზრებინა თეორიული სიახლენიც. დღეიდან გაზეთის რამდენიმე ნომერში ვეცდებით რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, მისი შტაბის, საოლქო, საქალაქო, რაიონული პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობისა და მართვის მუშაობის სტილი და მეთოდები წარმოვაჩინოთ.

ამჯერად გვინდა მკითხველს ვესაუბროთ არა იმდენად შედეგებზე, რამდენადაც იმ საუალებებზე, ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის იმ სიახლეებზე, ესოდენ ხელი რომ შეუწყო, ბევრად რომ განაპირობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის დაჩქარებული წინსვლა.

საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ განიხილა, მოკლედ და ლაკონიურად, მაგრამ ღრმად და მეცნიერულად არის გაშუქებული ამ გამოცდილების მთავარი ასპექტები, ნაჩვენებია ცხოვრებით შემოწმებული მისი ძირითადი განზოგადებული შედეგები. ამიტომ, როგორც საანგარიშო მოხსენება, ისე ყრილობის სხვა მასალები შესანიშნავი ქარგაა, საუკეთესო სახელმძღვანელო დოკუმენტებია პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების საკითხებზე წერილების სერიის დასანერად. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ცდა იქნება, რადგან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ბოლოდროინდელი გამოცდილება ხანგრძლივ მეცნიერულ დაკვირვებას, კვლევასა და განზოგადებას მოითხოვს და ცალკეული ავტორების შეაძლებლობას აღემატება. ამიტომაც მისი აღწერა და ანალიზი ყოველმხრივი და ყოვლისმომცველი ვერ იქნება, მაგრამ მეტად საჭიროა და სარგებლობას მოგვიტანს თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც გასული წლის მიწურულში საზოგადოება „ცოდნის“ პლენუმზე აღინიშნა, ბოლოსდაბოლოს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყურადღებას მიიქცევს.

მაშ ასე: რეტროსპექტივა, რომელიც აუცილებლად გვეჩვენება საბჭოთა საქართველოს და მისი კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის იუბილეს წინა დღეებში, რამეთუ, როგორც საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXVIII კონფერენციაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. შევარდნაძემ თქვა: „განვლილი წლების მანძილზე პარტიამ კომუნისტური მშენებლობის შესანიშნავი გამოცდილება შეიძინა და ახლა საჭიროა უდიდესი ყურადღებით მოვეკიდოთ ყოველივე დადებითს, რაც კი რამ გვაქვს ჩვენს მუშაობაში, — იქნება ეს ქალაქად თუ სოფლად.

პარტიულ-ორგანიზაციული, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სწორედ ეს დადებითი გამოცდილება, სამეურნეო მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გამოცდილება, რომელმაც ესოდენ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოგვაპოვებინა ეკონომიკის დარგში, თითოეულ კრებაზე, ყოველ პარტიულ კონფერენციაზე მისხალ-მისხალ შეძენილი გამოცდილება შეადგენს ჩვენი რესპუბლიკის მთელი პარტორგანიზაციის ფასდაუდებელ მონაპოვარს“.

ლენინური შაბათობა გვიხმობს

გათუმი. (საკ. კორ.). ტრანსფორმატორების ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა ლენინური შაბათობა დამკვრელური, მაღალნაყოფიერი შრომით აღნიშნოს. შრომის დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს 890 მუშა, 200 კაცით მეტი, ვიდრე შარშან. საწარმო ამ დღეს 46 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს. 93 პროცენტი აქედან ხარისხის ნიშნით გამოვა. გამომუშავებული თანხა —2.500 მანეთი მთლიანად გადაირიცხება ხუთწლედის ფონდში.

გორი. (საკ. კორ.). მხურვალედ დაუჭირა მხარი ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მრავალათასიანმა კოლექტივმა ქვეყნის მოწინავე საწარმოების ინიციატივას ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ.

თავისუფალი შრომის დღესასწაული გაერთიანებაში მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ნიშნით ჩაივლის. პროდუქციის შექმნაზე იმუშავებს 3000 ფიქრი. ამ დღეს ისინი გამოუშვებენ და ქვეყნის სავაჭრო ორგანიზაციებს გაუგზავნიან 50 ათას მეტრ ქსოვილს, ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 3.000 მანეთს.

დიდი სამუშაოები შესრულდება გაერთიანებისა და ფეიქართა დასახლების ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის. შეგროვდება 20 ტონა ჯართი, დაირგვება 3000 ხე და ბუჩქი.

ქასპი. (საკ. კორ.). ცემენტშიფერის კომბინატიდან ლენინურ შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 1400 კაცი. მეცემენტეები ამ დღეს 52 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ, აქედან 2350 ტონა ცემენტს, 200 ათას ცალ პირობით ფილა შიფერს და 250 კუბურ მეტრ სამშენებლო ბლოკს. ამ დღეს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კომბინატის ტერიტორიის კეთილმოწყობას. ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 1100 მანეთი, შეგროვდება 50 ტონა ჯართი, დაირგვება 500 ძირი ხე და ბუჩქი.

სიღნაღი (საკ. კორ.). წნორის მექანიკური ქარხანა ერთ-ერთი დიდი საწარმოა რაიონში. მისი კოლექტივი პირველი გამოეხმაურა მოსკოველთა ინიციატივას 18 აპრილს შაბათობის მოწყობის თაობაზე.

საყოველთაო შრომითს ზეიმში მონაწილეობას მიიღებს 350 კაცი. მთგან ასი სამუშაო ცვლაში ჩაებმება, 30 კაცი ჯართის შეგროვებაზე, ხოლო 15 დანადგართა შეკეთებაზე იმუშავებს, 200-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე დასაქმდება საწარმოს ტერიტორიის გამწვანება-გალამაზებაზე.

ამ დღეს სულ გამოუშვებენ 5.000 მანეთის პროდუქციას და 350 მანეთს ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ.

წნორელთა ინიციატივას მხარი აუბეს სიღნაღის პოკომბინატის მშრომელებმა. ისინი „წითელ შაბათობას“ 1.500 მანეთის სამუშაოებს შეასრულებენ და ხუთწლედის ფონდში 150 მანეთს გადარიცხავენ.

სამთამადნო კომბინატის „ჭიათურმანგანუმის“ კოლექტივმა გადაწყვიტა მიმდინარე წლის გეგმის გადამეტებით ოცი ათასი ტონა მანგანუმის კონცენტრატი გამოუშვას.

სურათებზე: მანგანუმის მადნის ტრანსპორტირება დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს მამდიდრებელ ფაბრიკაში; ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოს მოწინავე მაღაროელები (მარცხნიდან) თენგიზ სამხარაძე, თემურ აბესაძე და ოთარ გოგაბაშვილი.

ა. მაჭაკარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჭიათურელ მაღაროელთა მიჯნები

საბჭოთა კავშირ-საზღვარგარეთის ქვეყნების მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირის მე-4 საკავშირო კონფერენციას

გულითადად მივესალმები საბჭოთა კავშირ-საზღვარგარეთის ქვეყნების მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირის IV სრულიად საკავშირო კონფერენციის დელეგატებსა და საზღვარგარეთელ სტუმრებს.

თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, აკეთებთ დიდ და მეტად საპირო საქმეს, რადგან ხელს უწყობთ ხალხთა მეგობრული კავშირურთიერთობის განვითარებას. სახელმწიფოთა ურთიერთგაგება, ხალხთა მეგობრობა — აი საიმედო საძირკველი, რომელზეც შეიძლება აიგოს ნამდვილად მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის შენობა. ქვეყნებსა და ხალხებს შორის ნდობა, იგივე როგორც ადამიანებს შორის ნდობა, თავისთავად არ მოდის. იგი მტკიცდება მაშინ, როცა მას ხმარდება სახელმწიფოთა პოლიტიკური მეცადინეობა, როცა ხდება ინფორმაციის, ცოდნის, იდეების ცოცხალი, ნაყოფიერი გაზიარება, როცა ხალხებს ეძლევათ შესაძლებლობა უფრო ახლოს გაიცნონ და უფრო უკეთ გაიგონ ერთმანეთის ისტორია, ტრადიციები, კულტურა, დღევანდელი ცხოვრება. სწორედ ამიტომ, საპატიო და პასუხსაგები მისია, რომელიც თქვენ იკისრეთ, უშუალოდ არის დაკავშირებული ომის წინააღმდეგ ბრძოლასთან, მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებასთან. ახლა არ გვეგულება ამაზე უფრო მნიშვნელოვანი, ამაზე გადაუდებელი ამოცანა.

უკანასკნელ წლებში ჩვენს პლანეტაზე ვითარება მკვეთრად გამწვაფდა. აგრესიული იმპერიალისტური ძალების მოქმედება საფრთხეს უქმნის მშვიდობას. შეეაჩეროთ სამხედრო პოტენციალების უგუნური გადიდება, აღირიოთ ყველა სადავო საერთაშორისო საკითხის გადაწყვეტისათვის მოლაპარაკების მეთოდი — მშვიდობის უზრუნველყოფის, სახელმწიფოთა ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრების სხვა გზა არ არსებობს.

სწორედ ასეთი გზა დასახა ჩვენი პარტიის XXVI ყრილობამ, რომელმაც წამოაყენა მშვიდობის კომპლექსური, რეალისტური, კონსტრუქციული პროგრამა 80-იანი წლებისათვის. ჩვენ მას მივიჩნევთ პლატფორმად დიალოგისათვის ყველასთან, ვინც გულწრფელად არის დაინტერესებული, რომ კაცობრიობას თავიდან აიცილოს ომის საფრთხე.

ჩვენი გეგმების მშვიდობისმოყვარეობა დაადასტურა აგრეთვე ყრილობის მიერ დასახულმა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამამ, რომლის მიზანია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

მშვიდობის მტრებმა კვლავ გააჩაღეს ფართო პროპაგანდისტული კამპანია საზოგადოებრივი აზრის დამუშავებისათვის. ამ კამპანიის ამოცანაა დაამახინჯოს საბჭოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკის და ჩვენი ახალი სამშვიდობო ინიციატივების აზრი და მიზნები, გაამართლოს „ცივი ომის“ ხანის აღორძინების კურსი „საბჭოთა საფრთხის“ საბაბით. ამის შედეგად ანტისაბჭოურობა დღეს გახდა მთლიანად მშვიდობისმოყვარე ძალების წინააღმდეგ იდეოლოგიური და პოლიტიკური შეტევის იარაღი. თქვენს საზოგადოებებს შეუძლიათ ბევრი რამ გააკეთონ ამ კამპანიის ჩასაფუშად, იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის საგარეო-პოლიტიკური ხაზი, ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი მიზნები საერთაშორისო ასპარეზზე საზღვარგარეთის მოსახლეობის ყველაზე ფართო ფენებისათვის მკაფიო და გასაგები გახდეს.

გისურვებთ შემდგომ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ მუშაობაში საბჭოთა კავშირის ხალხებისა და სხვა ქვეყნების ხალხების მეგობრობისა და ურთიერთგაგების განვითარებისათვის.

ლ. ბრეჟნევი.

ხალხთა მეგობრობა მშვიდობის საფრინდარია

15 აპრილს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა საბჭოთა კავშირ-საზღვარგარეთის ქვეყნების მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირის IV საკავშირო კონფერენცია.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-საზღვარგარეთის ქვეყნების მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ზ. მ. კრუგლოვამ.

შემდეგ დაიწყო კამათი საანგარიშო მოხსენების გამო. (საკდესი)

განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა

მოუჭნელობა და მილიონობით ზარალი

საქართველოს მშრომელებმა, როგორც ცნობილია, მეათე ხუთწლედში არნახულ წარმატებებს მიაღწიეს, რისთვისაც ისინი ზედიზედ მერვედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდნენ. რესპუბლიკა დღეს აღმავლობის გზაზეა და წარმატებით შეუდგა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას. მეათე ხუთწლედის წარმატებები ბევრად განაპირობა სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებამ.

მუშათა დენადობა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში მეათე ხუთწლედში საგრძნობლად შემცირდა. შემცირდა ეკონომიკური თვალსაზრისით გაუმართლებელი მოცდენებიც. კერძოდ, მთელი დღის და შიდაცვლის მოცდენები და გაცდენები, ეს დანაკარგები ერთ მუშაზე გადაანგარიშებით მრეწველობაში 1975 წელთან შედარებით 1980 წლისათვის მნიშვნელოვნად შემცირდა, მშენებლობაში კი ეს მაჩვენებელი უწინდელ დონეზე დარჩა.

მიუხედავად გარკვეული ძვრებისა, ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში, რეგიონსა და წარმოება-ორგანიზაციაში დისციპლინის განმტკიცების მხრივ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია და ეს ხელს უშლის გამოუყენებელი რეზერვების სრულად ამოქმედებას.

სამწუხაროდ, რესპუბლიკის საწარმოებში მუშათა დენადობის მაჩვენებელი აღემატება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. იგი რომ საშუალო საკავშირო დონეზე ყოფილიყო, ჩვენ შევძლებდით დამატებით 20 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოგვეშვა. ამ მიზეზით თბილისის ელექტროტექნიკურ ქარხანაში, მაგალითად, სადაც მუშათა დენადობა 40 პროცენტს უდრის, დამატებითი პროდუქციის გამოშვება 10 ათასი მანეთით შემცირდა. „თბილისხელწყლების“ საწარმოო გაერთიანებაში ეს მაჩვენებელი 11 ათას მანეთს, ხოლო ზესტაფონის „საქკაბელის“ ქარხანაში — 31 ათას მანეთს უდრის. სხვათა შორის, არასაპატიო მიზეზით გამოწვეული დროის დანაკარგები რომ საკავშირო მაჩვენებელის დონემდე ყოფილიყო, შარშან დამატებით ქვეყანას 28 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციას მივაწვდიდით. როგორც ზემოთ მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, შრომის დისციპლინაში ჩამორჩენამ ერთ წელიწადში 48 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციის დანაკარგი მოგვცა.

რესპუბლიკის ზოგიერთ ორგანიზაციაში დიდია სამუშაო დროის დანაკარგები. ცხინვალის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში, მაგალითად, ერთმა მუშამ შარშან სამუალოდ 33 კაცდღე გააცდინა, რაც 1979 წელთან შედარებით 9 კაცდღით მეტია. ასეთივე არაესახარებელი მდგომარეობაა თბილისის შამპანური ღვინის საწარმოო გაერთიანებაში, წნორის პურ-პროდუქტების კომბინატში, ქუთაისის ხორცკომბინატში და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ სამუშაო დროის დანაკარგებთან ერთად ხშირია ზეგანაკვეთურ დროში მუშაობის შემთხვევებიც. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მექანიზაციის № 2 სამმართველოში ეს ციფრი 338 კაცსაათს, აფხაზეთის ასსრ ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების № 1 საქვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოში — 581 კაცსაათს, ზუგდიდის № 2668 ავტოკოლონაში 644 კაცსაათს უდრის. ამის გამო, დამატებით ზეგანაკვეთურ დროში დარიცხულმა ხელფასის რაოდენობამ შარშან 1,5 მილიონი, ხოლო 1979 წელს 1,4 მილიონი მანეთი შეადგინა.

უკანასკნელ პერიოდში სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევის გამო ჯარიმის სახით დიდი თანხებია გადახდილი. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებს შარშან წარედგინათ 64,5 მილიონი მანეთი ჯარიმა, რაც 21 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე 1979 წელს. თბილისის სამრეწველო საწარმოებმა 18 მილიონი, რუსთავისამ — 19 მილიონი, ზესტაფონისამ — 4 მილიონი, ქუთაისისამ — 3,5 მილიონი და ბათუმისამ — 3 მილიონი მანეთი გადაიხადეს.

რესპუბლიკის ბევრმა ორგანიზაციამ დაუშვა დიდი რაოდენობის არამწარმოებლური ხარჯები, რამაც გაამძაფრა პროდუქციის და შესრულებული სამუშაოების თვითღირებულება. ამასთან შეამცირა ფაქტორივი მოგება. მრეწველობაში ამ დანახარჯებმა შარშან 12 მილიონი მანეთი შეადგინა და 1979 წელთან შედარებით 4 მილიონი მანეთით გაიზარდა, მშენებლობაში, შესაბამისად, 3,5 და 0,6 მილიონი მანეთით. ასეთი დანახარჯები იყო შარშან საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში — 1,8 მილიონი მანეთის, სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტში“ —8 მილიონი მანეთის, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროში — 0,9 მილიონი მანეთის, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში — 0,5 მილიონი მანეთის, საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებში — 6,7 მილიონი მანეთის ოდენობით. რკინიგზის ვაგონების მოცდენებისათვის 2,5 მილიონი მანეთი ჯარიმაა გადახდილი, რაც 1979 წელთან შედარებით 1,1 მილიონი მანეთით არის შემცირებული. სამაგიეროდ ეს მაჩვენებელი საქართველოს სსრ მეღვინეობის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ თბილისის შამპანური ღვინოების საწარმოო გაერთიანებაში 67 ათასი მანეთით, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საჯავახოს სილის მომპოვებელ წარმოებაში — 51 ათასი მანეთით, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს რუსთავის ცემენტის ქარხანაში 22 ათასი მანეთით გაიზარდა.

სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მონაცემებით, რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ვადაგადაცილებული დავალიანება 1981 წლის 1 იანვრისათვის 414 ათას მანეთს, ხოლო 1 მარტის მდგომარეობით — 2523 ათას მანეთს შეადგენდა. მარტო მრეწველობაში მუშა-მოსამსახურეთათვის ხელფასის გაცემის ვადები შარშან 697-ჯერ დაირღვა. ასეთივე შემთხვევები იყო მაგალითად, რესპუბლიკის მშენებლობის, კვების მრეწველობის და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებში, საკავშირო დაქვემდებარების ზოგიერთ საწარმოში.

შარშან საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში მოწყობილმა შემოწმებებმა გამოავლინა, რომ ხშირად არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ხელმძღვანელი მუშაკებისათვის პრემიების გაცემის საკითხს შეეხება. დადგინდა, რომ რესპუბლიკის 14 სამინისტროსა და უწყების 307 ხელმძღვანელი მუშაკისათვის უკანონოდ გაუციათ 29,6 ათასი მანეთი პრემია, ამ საკითხზე წერილები დაეგზავნათ შესაბამის სამინისტროებს დაშვებული დარღვევების გამოსასწორებლად და შედეგომში ასეთი ფაქტების აღსაკვეთად.

ამრიგად, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება, რომ რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებებისა და რეგიონების ხელმძღვანელებს მომავლშიც მთელი რიგი ღონისძიებები აქვთ განსახორციელებელი შრომის საფინანსო და სახელმეკონულებო დისციპლინის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღსაკვეთად.

ვ. ნადარეიშვილი,
საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე.

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ჰორიზონტები

სოფლის მეურნეობის მეცნიერების ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის შესაბამისად განიხილეს საბჭოთა კავშირის ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე, რომელიც 13 აპრილს გაიმართა მოსკოვში. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლები.

სესიაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი. (საკდესი).

1981 წელს საბჭოთა კავშირზე გამოიცემა „ცენტრალური ტელეფონური ინფორმაციის“ ... ...

ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის გოფრირებული კოლოფების საამქროში დამონტაჟებულია ახალი ავტომატური ხაზი, რომელიც ორჯერ ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

კომბინატის კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მოსკოვის მოწინავე საწარმოთა პატრიოტულ თაოსნობას, რომლებმაც გადაწყვიტეს 18 აპრილს მოაწყონ ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა. წარმოების მუშაკთა ახალსულტური უმეტესობა პროდუქციის გამოშვებაზე იმუშავებს, დანარჩენები კეთილმოაწყობენ და გამოწვანებენ კომბინატის ტერიტორიას.

სურათზე: ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის გოფრირებული კოლოფების საამქროს მზა პროდუქციის მოწინავე მფუთავი, კომუნისტი მარინე წითლაძე.

ა. მაჭავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მუშვიდობის რაკეტები

სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის ოცი წელი

არცთუ ისე შორეულ წარსულში გლეხაცი მიწასთან ბრძოლაში დაკოჭრილი ხელით ოფლიან შუბლს მოიჩრდილავდა და შიშით შეჰყურებდა ღრუბლებს. ღრუბლებს მიღმა სივრცეში უხილავ ძალას უმწეოდ შესთხოვდა, რომ მისი ნაშრომ-ნაამაგარი გადაერჩინა სეტყვისაგან. ამ საშინელი სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლაში კი ქომაგს ვერ პოულობდა.

საბჭოთა მეცნიერების სწრაფმა, პერსპექტიულმა წინსვლამ, მისმა განვითარებამ გული საგულეს დაუბრუნა მშრომელ კაცს. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან 1961 წელს დაარსდა საბჭოთა კავშირში პირველი სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური.

თავისი არსებობის მანძილზე სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურმა, ცენტრალური და რესპუბლიკური სამეცნიერო დაწესებულებების აქტიური მონაწილეობით, თეორიული გამოკვლევების, ლაბორატორიული და საველე ექსპერიმენტების, პრაქტიკული საშუშაოების გამოცდილების საფუძველზე შექმნა სეტყვის პროცესზე ზემოქმედების მეცნიერული საფუძვლები. შემუშავდა სეტყვის საწინააღმდეგო ახალი რაკეტული სისტემა „ალაზანი“ და შეიქმნა სეტყვასთან ბრძოლის ახალი ეფექტიანი მეთოდი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების სეტყვისგან დაცვის სამუშაოებს ეს სამსახური ასრულებს ჯახეთის 8 რაიონში 670 ათას ჰექტარ ფართობზე, ამისათვის შექმნილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, — ორგანიზებულია 4 საკომანდო პუნქტი და 86 სარაკეტო საგუშაგო. ეს სამსახური დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით.

1975 წელს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური კიდევ უფრო განმტკიცდა ორგანიზაციულად, ამაღლდა საშემსრულებლო დისციპლინა.

სეტყვისაგან დაცვის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასების საზომი მრავალწლიანი სამუშაოს საშუალო მაჩვენებელია. სამუშაოების დაწყებამდე, მრავალწლიურ პერიოდთან შედარებით, სეტყვის შემთხვევების რიცხვი, დასეტყვილი ფართობების სიდიდე და სეტყვით გამოწვეული ზარალი შემცირებულია 75-80 პროცენტით.

სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური სხვა ორგანიზაციებთან ერთად ინტენსიურად მუშაობს სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის ტექნიკური საშუალებებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის. ეს კი სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საწინდარია.

ამ თავდაუზოგავ შრომასა და სამეცნიერო-კვლევითს ძიებაში ოცი წელი გავიდა. სწორედ ამ სიუბილეო თარიღს შეეძღვნა სესია, რომელიც ამ დღეებში გაიმართა თელავის რაიონის სოფელ რუისპირში. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის, სამეცნიერო დაწესებულებათა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, ჯახეთის რეგიონის პარტიული, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოთა მუშაკები.

სესია გახსნა და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. კობაიძემ. მოხსენება „სეტყვის საწინააღმდეგო მუშაობის განვითარების პერსპექტივები სსრ კავშირში“ გააკეთა სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ვ. დიადიჩენკომ. „20 წელი სეტყვასთან ბრძოლის სამსახურში“ — ასეთი იყო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსის ა. ქარცივაძის მოხსენების თემა, ხოლო თემაზე „ყინულწარმომქმნელ ქმედებათა შემადგენლობები და მათი გამოყენება ღრუბლებში სეტყვის პროცესზე ზემოქმედებისათვის“ ისაუბრეს ნ. სილინმა, ვ. სეროვმა, ა. სიდოროვმა, ჰ. ნესმეიანოვმა და სხვებმა. „სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარებში მართვის ტელეავტომატური სიტემის გამოყენების შესახებ“ მოხსენებები წაიკითხეს ნ. კალატოზიშვილმა, ა. ქარცივაძემ, გ. ერაძემ.

სესიის მონაწილენი ინტერესით გაეცნენ ცენტრალური საკომანდო პუნქტისა და მართვის ტელეავტომატური სისტემის მუშაობას.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საპატიო სიგელები გადაეცათ სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის მუშაკთა დიდ ჯგუფს. სამინისტროს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ თელავის, გურჯაანის, საგარეჯოს, წინანდლის, ალაზანთა სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურები. წარჩინებული თანამშრომლებისათვის შესასყიდად გამოყოფილია „ქიგელის“ მარკის 5 ავტომანქანა და სხვ.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

ცხინვალი. (საკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის ფილოსოფოსთა საზოგადოებ ის საქართველოს განყოფილ ებ ამ, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქციამ და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა ცხინვალში მოაწყვეს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „განვითარებული სოციალიზმის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ა. ფარასტაევმა. მოხსენებები წაიკითხეს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დ. ქორიძემ, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა ო. ცხოვრებოვმა, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა გ. ბასილაიამ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა ლ. ბასაევმა, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ე. ძაგოევამ, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა ა. ქოზაევმა.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგის მოადგილე ვ. კეშელავა.

გ. თედეევი.

საპროგრამო დოკუმენტი

ვ. ი. ლენინის წერილი კავკასიელი კომუნისტებისადმი

სამოცი წლის წინათ ვ. ი. ლენინმა თავის სახელგანთქმულ წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს“ ღრმა მეცნიერული სიზუსტით ჩამოაყალიბა კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სოციალიზმის მშენებლობის კონკრეტული პროგრამა. ახლა ბელადის წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების „მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის, დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს“.

კავკასიელი და მთელი საბჭოთა ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ხალხთა ძმური მეგობრობა და ინტერნაციონალური დარაზმულობა უკვე დიდი ხანია მართლაც რომ სანიმუშო და მისაბაძი შაგალითია მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის. სადირექტივო წერილის მთელი რიგი მითითებები და დებულებები დღესაც აქტუალურია ამ რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.

კავკასიის რესპუბლიკებისადმი წერილში ხაზგასმით არის მითითებული, რომ მათთვის თავისებური ტაქტიკის შემუშავება და განხორციელება ხელს უნდა უწყობდეს მთავარი ამოცანის — სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებასა და განმტკიცებას, რადგან, როგორც დიდი მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს კავკასიის რესპუბლიკების ხალხთა შორის ეროვნული მშვიდობიანობის უზრუნველყოფას, „კიდევ უფრო შეუდარებლად მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ და განვავითაროთ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც სოციალიზმზე გარდამავალი საფეხური“. სწორედ ამ ძირითადი ამოცანის გადასაწყვეტად ვ. ი. ლენინს უმთავრეს პირობად მიაჩნდა თავისებური ტაქტიკის შემუშავება. ამიტომ იგი მოუწოდებდა ამიერკავკასიის კომუნისტებს გაითვალისწინონ „თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის **თავისებურება,** რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას“. ამავე წერილში იგი კვლავ შთაგონებდა კავკასიელ კომუნისტებს დამოუკიდებლად გაეაზრებინათ თავიანთი ტაქტიკის თავისებურებათა მიზეზები, მისი პირობები და შედეგები, ადგილზე გამოეყენებინათ რუსეთის 1917-1921 წლების არა „ანბან-სიტყვა, არამედ სული, აზრი, გაკვეთილები“.

ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან განსხვავებით კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ოთხი ძირითადი თავისებურება, რომლებიც განსაზღვრობდა განსაკუთრებული ტაქტიკის შემუშავებას.

პირველი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის იყო, რომ კავკასიის რესპუბლიკებს გაეცილებინ ხელსაყრელ პირობებში უზდებოდათ არსებობა, ვიდრე საბჭოთა რუსეთს, რომელსაც არსაიდან არ ჰქონდა პოლიტიკური და სამხედრო დახმარება. პირიქით, იგი წლობით იბრძოდა ანტანტის სამხედრო თავდასხმებისა და ბლოკადის წინააღმდეგ. კავკასიაში კი სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა მაშინ, როცა საბჭოთა რუსეთი მძიმე და ხანგრძლივი სამოქალაქო ომიდან გამარჯვებული გამოვიდა და მას უკვე შეეძლო პოლიტიკური და სამხედრო დახმარება გაეწია და გაუწია კიდეც კავკასიის მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლებისა თ ვ ი ს ბრძოლაში. ეს ძირეული განსხვავება იყო.

მეორე ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი შეეხებოდა საერთაშორისო მდგომარეობას. კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები ბევრად უფრო დაზღვეული იყვნენ გარეშე სამხედრო ინტერვენციისაგან, ვიდრე რუსეთი იმ დროს, როცა იქ სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

მიმართავდა რა კავკასიელ კომუნისტებს, ბელადი წერდა:

„ჩვენ პირველად შევანგრიეთ მსოფლიო კაპიტალიზმის კედელი. იგი შენგრეულია. ჩვენ დავიცავით თავი გააფთრებულ, ზებუნებრივ, მძიმე და ძნელ, მწვავე და მძაფრ ომში თეთრების, ესერების, მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებსაც ზურგს უმაგრებდა მთელი ანტანტა, მის მიერ მოწყობილი ბლოკადა, მისი სამხედრო დახმარება.

თქვენ, კავკასიელო ამხანაგო კომუნისტებო, კაპიტალიზმის კედლის შენგრევა აღარ გჭირდებათ, უნდა შეძლოთ მეტი სიფრთხილითა და სისტემატურობით შექმნათ ახალი და საამისოდ გამოიყენოთ თქვენთვის ხელსაყრელი 1921 წლის საერთაშორისო ვითარება. ევროპაც და მთელი მსოფლიოც 1921 წელს ის აღარაა, რაც 1917 და 1918 წლებში იყო... ანტანტამ „ხელი მოიწვა“ რუსეთზე, და ეს აიძულებს მათ ერთხანს, ალბათ, უფრო ფრთხილი იყოს“.

კავკასიის რესპუბლიკებისათვის ეს გარემოება ქმნიდა ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებს მშვიდობიანი მშენებლობისათვის. და მაინც ყველაზე უფრო საიმედო გარანტია მათთვის იყო მტრებზე გამარჯვებული მძლავრი საბჭოთა რუსეთი.

მესამე განმასხვავებელ ნიშნად ვ. ი. ლენინი მიიჩნევდა იმას, რომ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები კიდევ უფრო გლეხური ქვეყნები იყო, ვიდრე რუსეთი. საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი უპირატესად წვრილი გლეხობა იყო. რომლის ეკონომიკური პირობები მცირემიწიანობის გამო ერთობ მძიმე იყო. იგი ჩამორჩენილ რუსეთის გლეხობას, რომელმაც მიწა ოქტომბრის პირველივე დღეებში მიიღო და პოლიტიკური აღზრდის კარგი სკოლაც გაჰქონდა. ეს გარემოება მოითხოვდა განსაკუთრებული ფრთხილი დამოკიდებულება გამოეჩინათ კომუნისტებს საქართველოს გლეხობისადმი, განეხორციელებინთ მის მიმართ მთელი რიგი დათმობები.

მეოთხე ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ის გახლდათ, რომ ეკონომიკურად რუსეთი მოწყვეტილი იყო მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ბრძოლის ველზე რომ დამარცხდა, საერთაშორისო იმპერიალიზმი ახლა ლამობდა ეკონომიკური ბლოკადით მოეხრჩო საბჭოთა რუსეთი. კავკასიის რესპუბლიკებს კი ჰქონდათ მეტი შესაძლებლობა უფრო სწრაფად და ადვილად მოეგვარებინათ „თანაცხოვრება“ და საქონელგაცვლა კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეს ძირითადი განსხვავებანი რუსეთის სფს რესპუბლიკის მაშინდელი მდგომარეობისა და პირობებისაგან თავისებური ტაქტიკის შემუშავებას მოითხოვდა. კავკასიის კომუნისტთა ეს ახალი ტაქტიკა ვ. ი. ლენინმა ასე ჩამოაყალიბა: „მეტი სიობილე, სიფრთხილე და დამთმობობა წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ“. ბელადი რჩევას აძლევდა საქართველოს კომუნისტებს აუცილებლად განეხორციელებინათ ისეთი მოქნილი და მოხერხებული პოლიტიკა, რომელიც ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტების მიმართ მეტ დათმობაზე იქნებოდა დამყარებული, რომ აუცილებელი იყო „ქართველი ინტელიგენციისა და წვრილი ვაჭრების მიმართ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა“.

საქართველოს კომუნისტებმა უდიდესი ქმაყოფილებით მიიღეს ლენინის მიერ რეკომენდებული ტაქტიკა და საფუძვლად დაუდეს იგი მთელ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობას. მათ აკნობეს ბელადს, რომ მთლიანად ეთანხმებოდნენ და ერთსულოვნად იწონებდნენ მის მიერ შემუშავებულ ტაქტიკურ ხაზს.

რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა პრესაში ფართოდ გაჩაღდა ლენინური დირექტივების პროპაგანდა. მათი პოპულარიზაციის მიზნით ხელმძღვანელი მუშაკები სისტემატურად კითხულობდნენ მოხსენებებსა და ლექციებს მშრომელთა კრებებსა და ხალხმრავალ მიტინგებზე.

წვრილი ვაჭრებისადმი ერთგვარი შეღავათების დაწესება შესაძლებლობას იძლეოდა გაგვეუმჯობესებინა სურსათით და პირველი მოხმარების საგნებით მოსახლეობის მომარაგება. ამით საბჭოთა ხელისუფლებას საშუალება ეძლეოდა მთავარი ყურადღება დაეთმო სამეურნეო მშენებლობისათვის.

ერთადერთი სწორი, ნამდვილად ბრძნული და შორსმჭვრეტელური გამოდგა ლენინური ტაქტიკა მრავალრიცხოვანი და ძლიერი ქართველი ინტელიგენციისადმი ლმობიერი დამოკიდებულების შესახებ. ასეთი ტაქტიკის განხორციელების მეოხებით ქართველი ინტელიგენცია უყოყმანოდ დადგა საბჭოთა ხელისუფლების პოზიციებზე. გლეხობის, წვრილი ვაჭრებისა და ინტელიგენციისადმი ფრთხილი დამოკიდებულების ტაქტიკამ ხელი შეუწყო მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებას, ინტელიგენციის ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში, მისი შესანიშნავი კადრების შემოქმედებითი ძალების მიზნობრივად გამოყენებას, ქართული კულტურისა და მეცნიერების აყვავებას.

ვ. ი. ლენინი ჩინებულად იცნობდა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ბუნებრივ სიმდიდრეებს, მათს რესურსებს და მხარის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი საწარმოო ძალების სწრაფი განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა უწინარესად ენერგეტიკული ბაზის შექმნას. ამ მიზნით იგი უჩრჩედა კავკასიელ კომუნისტებს ფართოდ გამოეყენებინათ „თეთრი ნახშირის“ უმდიდრესი მარაგი, დაეწყოთ ელექტრიფიკაციის დიდი სამუშაოები.

ამ დირექტივების შესასრულებლად საქართველოს კომუნისტებმა დასახეს რესპუბლიკის ელექტრიფიკაციის, წყალუხვი მდინარეების ენერგიის გამოყენების ფართო გეგმა და დახმარებისათვის მიმართეს საბჭოთა რუსეთის მთავრობას. 1922 წელს საფუძვლი ჩაეყარა გოელროს გეგმით გათვალისწინებულ ჯაჭვის მშენებლობას. ვ. ი. ლენინის მითითების შესაბამისად რსფს რესპუბლიკის მთავრობამ საბჭოთა საქართველოს ამ მშენებლობისათვის გამოუყო 750 ათასი მანეთი ოქროთი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენდა მთელი რიგი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები, რამაც მყარი ენერგეტიკული ბაზა შეუქმნა სახალხო მეურნეობის დაჩქარებულ განვითარებას. ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოებით საქართველომ დიდი ხანია გაუსწრო ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანას.

საქართველოს კომუნისტებმა დიდი ენთუზიაზმით მოკაფდეს ხელი ლენინის მითითების განხორციელებას — ფართო მუშაობა გაეჩაღეს ძველი არხების რეკონსტრუქციისა და ახალი სარწყავი სისტემის შექმნისათვის. საირიგაციო მშენებლობამ იმთავითვე ნამდვილი სახალხო ხასიათი მიიღო.

საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებში დაიწყო კოლხეთის ჭაობების დაშრობის სამუშაოები. სულ მოკლე დროში აშენდა მათხოჯის, კულა-ღანირის, ვან-ტობანიერის, ბაღდადის, ტირიფონის, სამთავისის, კეხვის, დიმის, სოღანლუღის, ქუთაისის სარწყავი არხები. მათი საპროექტო სიმძლავრე მაშინ 100 ათას ჰექტარს არ აღემატებოდა.

შემდგომში აშენდა ისეთი უფრო რთული და სრულყოფილი ჰიდრონაგებობანი, როგორიც არის სამგორისა და ზემო ალაზნის სარწყავი სისტემები, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაზარდეს მელიორირებული მიწების ფართობები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 1951 წლამდე სარწყავი მიწების ფართობი რესპუბლიკაში 95 ათასი ჰექტარიდან 288 ათას ჰექტარამდე გაიზარდა. ამან ხელი შეუწყო მეცხოველეობის შემდგომ განვითარებასაც. 1964-დან 1974 წლამდე სარწყავი და დაშრობილი მიწების ფართობი 147 ათასი ჰექტარით შემცირდა და 1974 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის მიხედვით 500 ათას ჰექტარს შეადგენდა. ახლა მათი ფართობი 600 ათას ჰექტარს აღემატება.

ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განუხრელად განახორციელა ვ. ი. ლენინის ყველა მითითება და საბჭოთა ხელისუფლების 60 წლის მანძილზე დიდი წარმატებები მოიპოვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

სოციალიზმის მშენებლობის წლებში რესპუბლიკაში შეიქმნა და წარმატებით განვითარდა შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, ჩართმშენებლობა, კვების მრეწველობისათვის განკუთვნილი ტექნოლოგიური და სამთამადნო მოწყობილობის წარმოება, ავტომობილმშენებ ლ ო ბ ა, თვითმფრინავმშენებლობა, გემთმშენებლ ო ბ ა, ელექტროტექნიკური მოწყობილობის წარმოება, ტრაქტორმშენებ ლ ო ბ ა, ხელსაწყოთმშენებლობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენერგეტიკის, ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობის განვითარებას. სულ უფრო მეტად იზრდება რესპუბლიკის წვლილი საერთო-საკავშირო ეკონომიკაში. წლითიწლობით დიდდება მისი მონაწილეობა საბჭოთა კავშირის საერთო ექსპორტში. საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციისა იგზავნება მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში.

ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პირადად ლ. ი. ბრეჟნევის სისტემატური დახმარებისა და ზრუნვის მკაფიო მაგალითია სულ მოკლე დროში საკავშირო ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის თანგრობის რამდენიმე დადგენილების მიღება საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების შესახებ. ამის შედეგად ძირითადად დაძლეულ იქნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების ჩამორჩენა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებისაგან, რაც რელიეფურად გამოიკვეთა 70-იან წლებში. სახალხო მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის რესპუბლიკამ ზედიზედ მერვედ დაიმსახურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკაკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საქართველოს კომუნისტთა XXVI ყრილობამ, რომელიც რესპუბლიკის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგის მართვის დემოკრატიული პრინციპების შემდგომი გაფართოების, კომუნისტთა აქტიურობის ამაღლებისა და სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების დევიზით მიმდინარეობდა, კიდევ უფრო მასშტაბური ამოცანები დაუსახა პარტიულ ორგანიზაციებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს მეთერთმეტე ხუთწლედისათვის.

საბჭოთა საქართველოს სახელოვანი სამოცი წლის ისტორია პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის, საბჭოური ცხოვრების წესის უპირატესობათა, სოციალისტური დემოკრატიის მკაფიო დემონსტრაციაა. მრავალეროვან საქართველოში მცხოვრებმა ყველა ერმა და ეროვნებამ ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. გაიზარდა აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა წვლილი საქართველოში წარმოებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მოცულობაში.

ლენინური პარტიის XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში, ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ღრმად და ყოველმხრივ გაანალიზებულ ი ა ჩვენი ქვეყნის განვითარების შედეგები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უმაღლეს მიზანს — ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლებას, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების გზებსა და საშუალებებს. პარტია მიზნად ისახავს მთელი ძალ-ღონე მოახმაროს ორ ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებას — კომუნისტურ აღმშენებლობასა და მშვიდობის განმტკიცებას.

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს ლენინური პარტიის აღმშენებლობითს პოლიტიკას და თავდადებით შრომობენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისათვის, მუშობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის.

დიდი ლენინის იდეებით, მისი მითითებებით, მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შთაგონებული ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების კომუნისტები, ყველა მშრომელი აღფრთოვანებით იღებენ მხარეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისა და ხალხთა ლენინური მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ვ. მერკვილაძე,
პროფესორი.



სურათზე: ხელნაწერის ფოტოპირი ვ. ი. ლენინის ცნობილი წერილისა — „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს“.

„პარტიული სიტყვა“ № 7

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ **„პარტიული სიტყვის“** მიმდინარე წლის მეშვიდე ნომერი.

ჟურნალი იხსნება რუბრიკით „პარტიული სიტყვის“ მრგვალ მაგიდასთან“. მკითხველებს ესაუბრებიან სკკპ XXVI ყრილობის დელეგატები. პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებას ეძღვნება მ. იდინოვის წერილი. შემდეგ სხვადასხვა რუბრიკებში დაბეჭდილია ა. გეგეჭკორი, გ. ბროკის, ს. გველესიანის, ს. ცინცაძის, ნ. ბუბრიხანის, ვ. ბურკაძის, ზ. აბაზაძის, ვ. კორიონოვის წერილები.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხანძრის ჩაქრობის დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოვდნენ: **ბოლქვაძე** იუსუფ ჯემალის ძე — შიდასამსახურის სერჟანტი, **მიქელაძე** ჯემალ ფრიდონის ძე — მილიციის პოლკოვნიკი, **ცინცაძე** ოთარ აზმედის ძე — შიდასამსახურის მაიორი.

ალტერნატივა

და სწორი არჩევანი, რომელსაც შედეგი უნდა განესაზღვრა და განსაზღვრა კიდეც

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა მისთვის დამახასიათებელი ობიექტურობითა და პრინციპულობით, შექმნილი მდგომარეობის ზუსტად განსჯისა და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე შემუშავებული ბრძნული დოკუმენტით ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტებს, ყველა თბილისელს მწარე სიმართლე უთხრა. ეს სიმართლე კი, მოგეხსენებათ, ის იყო, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე რესპუბლიკაში ფეხი მოიკიდა ბერმა სიმახინჯემ, სიყალბემ, ფორმალიზმმა და მოჩვენებითობამ, შეიქმნა ურთიერთშემწყნარებლობისა და მაამებლობის, უნიადაგო თვითკმაყოფილების ვითარება, დაგვიჩლუნგდა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცადი იარაღი, დაგვიკნინდა სულიერი ცხოვრების კრიტერიუმები, ყოველივე ამას თან მოჰყვა ეკონომიკაში სამარცხვინო ჩამორჩენის ლოგიკური შედეგი.

ეს იყო 1972 წლის დასაწყისი... და ეს იყო ამავე დროს მეტად ძნელი დასაწყისი იმ გზისა, აი უკვე მეცხრე წელია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით რომ ვადგავართ.

ყველა გზას კი — მშვიდს და ფაფარაკიანს. გზას მტრისა და გზას მოყვარეს — თავისი სათავე, თავისი დასაწყისი აქვს. ხალხს რომ ეთქვამს კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო, გზასაც შეეხება. გზა საწყისშივე სწორი თუ არ აირჩიე, ხრამს მიადგები, სამშვიდობოს ვერ გახვალ.

სწორედ არჩევანი იყო რთული, ალტერნატივა კურსის თავშივე წარმოიშვა. უფრო ზუსტად: ალტერნატივის სწორად გადაწყვეტამ შვა კურსი, გზებიდან ერთადერთ სამიზნე გზაზე დაგვაყენა.

ახლა თვით ალტერნატივას რომ მივადგეთ, ჯერ მაშინ შექმნილი მდგომარეობის დასახასიათებლად პარტიის თბილისის კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ზოგიერთი ადგილი უნდა მოვიშველიოთ:

„...საქალაქო კომიტეტი, რაიკომები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად ამაღლებენ სამეურნეო ხელმძღვანელების, მშრომელთა კოლექტივების პასუხისმგებლობას თითოეული საწარმოსა და მშენებლობის მიერ სახელმწიფო გეგმების დროულად შესრულებისათვის...“

„...1971 წელს ყოველ მეოთხე საწარმოში შემცირდა რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, დაქვეითდა შრომის ნაყოფიერება წინა წლთან შედარებით. ბევრ საწარმოში ნელა მაღლდება წარმოების ტექნიკური დონე, სრულად ვერ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, მცირდება ფონდამოგება, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას“...

„...საკმარისად არ არის განვითარებული სასადილოებისა და ბუფეტების ქსელი სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, სასწავლებლებში...“

„...საქალაქო კომიტეტი... შეწყნარებით ეკიდება ცალკეულ ხელმძღვანელებს, რომლებიც ცუდად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, უშვებენ ბიუროკრატიზმის, მშრომელთა მოთხოვნებისა და საჭიროებებისადმი უგულებელმყოფელი დამოკიდებულების ფაქტებს...“

„...საქალაქო პარტიული ორგანიზაცია სუსტად ებრძვის ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო ისეთ მოვლენებს, როგორიც არის სახელმწიფო საკუთრების დატაცება, სპეკულაცია, მექრთამეობა, მუქთახორობა...“

როგორც ხედავთ, შეფასებები:

— ზედმიწევნით ზუსტი მისამართისაა, მაგრამ დედაქალაქის ფარგლებს არ სცილდება;

— მკაცრია, მაგრამ კეთილგანწყობილების ტონით არის მოცემული;

— განზოგადებულია, ამიტომ მრავალი კონკრეტული ნეგატიური მოვლენა დადგენილების ტექსტს მიღმა რჩება.

ყოველივე ამან რესპუბლიკისა და მისი კომპარტიის მაშინდელ ხ

დღეს იხსნება საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის V ყრილობა

ცხოვრების უუკაგულში

ქართულ საბჭოთა კინოს არასოდეს არ ჰქონია ისეთი კარგი პირობები თავისი პოტენციური შესაძლებლობის გამოსამჟღავნებლად, როგორც ამ საანგარიშო ხანაში. არასოდეს არ უგრძვნია, და არ მიუღია ისეთი დიდი მორალური და მატერიალური დახმარება თავის შემოქმედებით ძალებთა სრულყოფისათვის, როგორც დღეს აქვს. ქართული კინოს საუკეთესო ოსტატები არასოდეს არ ყოფილან ასე ფართოდ წარმოდგენილნი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მართვის ორგანოებში და, რაც მთავარია, ქართველ კინემატოგრაფისტებს არასოდეს ასე მკვეთრად და ნათლად არ უგრძვნიათ, რომ მათი საქმე ესოდენ საჭირო და ღირებულია ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის.

ქართული კინო ქართველი ერის სულიერი კულტურის განუყოფელი ნაწილია. ხელოვნების ამ დარგში განვითარებულია ყოველ-საუკეთესო, რასაც ჰქმნიდა ჰქმნის ქართული . ხალხური შემოქმედება, ქართული ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება, მუსიკა, თეატრალური ხელოვნება თუ სხვ. ამ ტრადიციებზე დაყრდნობით ქართული კინო ეძიებს თავის საუთარ გამომსახველობითს საშუალებებს, რაც მას თვითმყოფად ხდის და ამავე დროს უნარჩუნებს, უფრო სწორად წარმოუჩენს ეროვნულ ფენომენს, ხელოვნებისიერებს მისი შემქმნელი, მშრომელი ხალხის ესთეტიკურ თუ ცხოვრებისეულ იდეალებს.

ერთი მხრივ, ქართული კულტურის, ჩვენი ისტორიული ყოფის ტრადიციები, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენი ცხოვრების სინამდვილე — აი ის საყრდენები, რომლებმაც განსაზღვრეს ქართული კინოს ადგილი საბჭოთა კინოხელოვნებაში. ქართულ კინოს საბჭოთა კინემატოგრაფიაში საპატიო ადგილი უკავია. ეს დაფასება მოპოვებულია ქართველი კინემატოგრაფისტების თაობათა თავდადებული შრომით. ხალხურ, დემოკრატიულ საწყისებზე აღმოცენებული ქართული კინოხელოვნება დღესაც აგრძელებს იმ სანდოვან ტრადიციებს, ჩვენმა წინაპრებმა რომ შექმნეს.

დიდი ბედნიერებაა, რომ ქართული კინოში საშუალო და ახალგაზრდა თაობის გვერდით დღესაც მოღვაწეობენ და აქტიურ შემოქმედებითს შრომაში არიან ჩაბმული საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები სიკო დოლიძე და ვერიკო ანჯაფარიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები თამარ ყარაშვილი, ნიკოლოზ სანიშვილი, ვასილ დოლენკო და სხვები, რომლებიც ქართული კინოს საუნჯეებად იდგნენ.

ქართული საბჭოთა კინოს პიონერების მიერ დაწყებული ეროვნული კინემატოგრაფიის შექმნისა და განვითარების საქმე ღირსეულად გაგრძელდა გასულ ხუთწლეულში.

ქართული კინო მიჰყვებოდა და მიჰყვება თავის მაგისტრალურ ბაზას, ეროვნულობისადაც დღეს კინოხელოვნებაზე მსჯელობა შეუძლებელია, — ეს არის ქართული კინოს ოსტატთა სწრაფვა, რაც ეძიებენ ღრმად ჩასწვდნენ თანამედროვე ცხოვრებას. ეს პროცესი კი მთლიანად კინემატოგრაფიული პრაქტიკის თანამედროვეობასაც გულისხმობს. თუ ამ მოთხოვნების გათვალისწინებით გადავხედავთ სამოცდაათიანი წლების მერე ნახევრის ქართულ კინემატოგრაფს, უნდა აღინიშნოს, რომ გაფართოვდა ქართული კინოს ინტერესების სფერო, გარდა ტრადიციული თემებისა, რომლებიც წლების მანძილზე ასაზრდოებდა ჩვენს ფილმებს, მოიძებნა ჯერაც ნაწუხებელი თემები, ეკრანზე გამოჩნდნენ ახალი ადამიანები, რომელთა ხასიათების სოციალურ-ფილოსოფიური კვლევა მოითხოვა არა მარტო თავისებურ გადაჭრებს, არამედ უწინარესად მათი ცხოვრების, მათი ინტერესების სფეროში შეჭრას, ღრმა დაკვირვებებს, ერთი სიტყვით, კიდევ უფრო მჭიდრო კონტაქტებს ცხოვრებასთან. ახლა ჩვენს ეკრანზე გვხვდებიან „არატრადიციული" გმირებიც — ჟურნალისტი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, მუსიკოსი, რაიკომის მდივანი, მკვლევარი არქეოლოგი, მშენებლობის უფროსი და სხვა — ეს ერთი მხრივ თუ ამდიდრებს შემოქმედთა პალიტრას, მეორე მხრივ, ხაზს უსვამს მათ სურვილს უფრო ღრმად ჩასწვდნენ ცხოვრებისეულ მოვლენებს, უფრო ფართოდ მოიცვანონ ინტენსიური სამყარო, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ.

ზემოაღნიშნული დებულების კარგი დასტურია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მოწონავე სტუდიის — „ქართული ფილმის" განვლილი ხუთი წლის პროდუქცია. საანგარიშო პერიოდი სტუდიისათვის მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო მოვლენებით აღინიშნა. მის ცხოვრებაში მეტად თვალსაჩინო კვალი დატოვა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის, კინოსტუდია „ქართული ფილმის" სამხატვრო საბჭოსა და მწერალთა კავშირის გამგეობის გაფართოებულმა სხდომამ, რომელზეც ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ. ასეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტუდიის ცხოვრებისათვის 1977 წლის 19 ნოემბრის გაზეთ „პრავდის" მოწონიანი სტატიას, სადაც გამოთქმული იყო კრიტიკული მოსაზრებები კინოსტუდია „ქართული ფილმის" მიერ თანამედროვე თემის ათვისების თაობაზე.

სტუდიის ხელმძღვანელობამ, მისმა სამხატვრო საბჭომ თვითკრიტიკულად გაიაზრა გამოთქმული მოსაზრებები, რამაც სასურველი შედეგიც გამოიღო. თანამედროვე თემამ მთავარი ადგილი დაიკავიდრა სტუდიის შემოქმედების ცხოვრებაში. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ იმატა ამ თემებისადმი მიძღვნილი ფილმების რიცხვმა (თანამედროვე თემაზე შექმნილ ფილმებს ადრეც წამყვანი ადგილი ეკავა სტუდიის თემატურ გეგმაში), არამედ ისიც, რომ დღეს თანამედროვე თემაზე შექმნილი ფილმები ხასიათდება მაღალი პროფესიონალიზმითა და ესთეტიკური ღირებულებებით, ისინი გამოირჩევიან არა მარტო დახვეწილი ფორმით, არამედ ასახული მოვლენების ღრმად გაანალიზებისა და მხატვრული კვლევის თავისებური უნარითაც, რაც ბევრ შემთხვევაში განსაზღვრავს კიდევაც ამ ფილმების თვითმყოფადობას. ერთი გარემოებაც არის გასათვალისწინებელი: 70-იანი წლების ქართულ კინოზე დიდი გავლენა მოახდინა იმ მნიშვნელოვანმა სასიკეთო ცვლილებებმა, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში მოხდა. სწორედ ამ ცვლილებებმა მოითხოვა ქართველი კინემატოგრაფისტებისგან ახალი მხატვრული სახეების ძიება. ჩვენს კინოში ყალიბდებოდა ახალი ადამიანი — საქმიანი, მშრომელი, მცოდნე, მაღალ პარტიული პრინციპების მქონე პიროვნება.

ქართული კინო თავის საუკეთესო ტრადიციებზე დაყრდნობით განაგრძობდა მუშაობას ლიტერატურულ ნაწარმოებთა ეკრანიზაციაზე.

გასული ხუთი წლის მანძილზე ეკრანული სიცოცხლე შეიძინეს ლ. ტოლსტოის, დ. კლდიაშვილის, დ. შენგელაიას, პ. კაკაბაძის, გ. ლეონიძის, ნ. დუმბაძის, ჭ. ამირეჯიბის, გ. ფანჯიკიძის, რ. ჭეიშვილის, რ. ინანიშვილის და სხვათა ნაწარმოებებმა.

ქართული მწერლობა მუდამ იყო ჩვენი კინოს ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი, მისი მაცოცხლებელი წყარო. ეროვნულ ლიტერატურასთან შემოქმედებითს კონტაქტს არაერთი წარმატება მოუპოვებია ქართული კინოსათვის, რომელსაც ხშირ შემთხვევაში საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა.

ერთი თვის შემდეგ ქართველი ხალხი ზეიმით აღნიშნავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს. ამ ღირსსახსოვარი თარიღის შესახვედრად ემზადებოდა ქართული კინოც.

ორი ფილმი — „სიცოცხლე ერმილეს" და „სახლი ლესნაიაზე" მიუძღვნა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ქართველი ბოლშევიკების, ქართველი ხალხის ბრძოლას ჩვენი კინოს ვეტერანმა ნ. სანიშვილმა.

საინტერესო გამოდგა გ. კალატოზიშვილისა და გ. გაბესკირიას ფილმი „ბრმა ტყვია" (კიკვიძე). ავტორები ახლებურად მიუდგნენ ისტორიულ-რევოლუციური თემის დამუშავებას, ფილმის გმირი დანახულია თანამედროვის თვალით.

ამასთანავე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს მაყურებელს ჯერ კიდევ არ ვანებივრებთ ისტორიულ-რევოლუციური თემაზე შექმნილი ფილმებით, სადაც ერთმანეთს შეეწყმება ჰეროიკა და რევოლუციური რომანტიკა; მხატვრული კინომსახიობთა ქართული სკოლა დიდი მოწონებითა და შეფასებით სარგებლობს საბჭოთა კინოში. ბევრი ჩვენი მსახიობი მონაწილეობს არა მარტო ქართველ რეჟისორთა სურათებში, არამედ გასულია ფართო საკავშირო ასპარეზზეც — გადაღებულია ცენტრალური და მოკავშირე რესპუბლიკების სტუდიათა ფილმებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ" ზუსტად განსაზღვრა კრიტიკის როლი და მნიშვნელობა მხატვრულ პროცესში. ამ დადგენილებამ დიდად შეუწყო ხელი ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის გააქტიურებასა და მისი როლის შემდგომ ამაღლებას. ასევე ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა მან ქართულ კინომცოდნეობასა და კრიტიკაზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში შესამჩნევად ამაღლდა ქართული კინოკრიტიკისა და კინომცოდნეობის დონე. ჩვენი წამყვანი კინოკრიტიკოსები აქტიურად მონაწილეობდნენ კინემატოგრაფისტთა კავშირის პლენუმებში, თეორიულ კონფერენციებში, დისკუსიებში, სტუდიების სამხატვრო საბჭოების სხდომებში.

კინომ განვითარების საინტერესო გზა განვლო, მუნჯი პერიოდის შემდეგ თანამიმდევრობით დაიწყო სიტყვის, მუსიკის, ხმის რიგის, ფერის ათვისების ეტაპები. ახლა დადგა დრო, როცა ყოველივე ამის შემდეგ კინო განაგრძობს თავის საკუთარ ენის დადგენა-დამკვიდრებას, ეძიებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ხერხებს, საშუალებებს და ამ ძიებებში წარმატებებსაც აღწევს. ამაში გვარწმუნებს ქართული, საბჭოთა და საზღვარგარეთული კინოს ოსტატების საუკეთესო ნაწარმოებები.

ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში იყო პეროიდი, როდესაც იდეოლოგიური, სულიერი მომენტები მეორე პლანზე გადავიდა. ამ დათმობებმა იდეოლოგიაში შვა ნეგატიური, უარყოფითი, რომლის წინააღმდეგაც ახლაც შეუნელებელი ბრძოლა მიმდინარეობს. ჩვენმა პარტიამ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, ზუსტად განსაზღვრა ჩვენი ამოცანა ამ ბრძოლაში. ეკონომიკის განვითარება ფუძემოზანი კი არა, არამედ ის ბერკეტი უნდა იყოს, რომელიც სულიერი, ზნეობრივი და, თუ გნებავთ, ეროვნული პოტენციალის შემდგომ აღმავლობას გამოიწვევს. იდეოლოგიური აღზრდის საკითხების სწორად დაყენებამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ინტერნაციონალურმა სულისკვეთებამ, ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერებამ აამოძრავა ეროვნული პოტენციალი. ეს გამოიხატა თუნდაც ჩვენი ლიტერატურის, თეატრის, სახვითი ხელოვნების, მუსიკის არნახულ აღმავლობაში, ჩვენი კულტურის ძეგლების აღდგენა-პატრონობაში, ქართული კინოს წარმატებებში.

ხატოვნად თქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ:

„მხატები, ქარხნები, ფაბრიკები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ფერმები, პლანტაციები, სამშენებლო მოედნები — ეს ჯერ კომფლიზში არ არის. კომუნიზმი უნდა ავაშენოთ ადამიანთა გონებასა და გულში. ამას კი ვერ მივაღწევთ, თუ არ მოვიშველიეთ სულიერი ღირებულებანი მთლიანად — ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, კულტურა", — ასეთია ამოცანა და ქართული საბჭოთა კინო ამ ამოცანის სიმაღლეზე უნდა იდგეს.

ელდარ შენგელაია,
საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი.



გამარჯვებათა ხუთი წელი

ქართული ფილმების ჯილდოები საკავშირო და საერთაშორისო კინოფესტივალებზე

ქართულ ფილმებს ადრეც არაერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუპოვებიათ საკავშირო თუ საერთაშორისო კინოფესტივალებზე, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ხუთი წელი — შუალედი ყრილობიდან ყრილობამდე. ამდენად მკითხველისათვის, ინტერესმოკლებული არ იქნება გაეცნოს, თუ რა პრიზები, დიპლომები და პრემიები მოიპოვეს **ქართულმა მხატვრულმა ფილმებმა** სხვადასხვა კინოფესტივალზე.

„პირველი მერცხალი" (1975 წ. რეჟისორი ნ. მჭედლიძე). მთავარი პრიზი ფრუნზეში IX საკავშირო კინოფესტივალზე, ამავე ფესტივალზე I პრემია კინომსახიობ დოდო აბაშიძეს (1976 წ.). ოქროს მედალი მინსკში სპორტული ფილმების VI საკავშირო კინოფესტივალზე, ამავე ფესტივალზე სპეციალური პრიზი დ. აბაშიძეს (1976 წ.). მთავარი პრიზი — „გრან-პრი" ობერჰაუზენის (გფრ) სპორტული ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე (1977 წ.).

„ნატვრის ხე" (1976 წ. რეჟისორი თ. აბულაძე). მთავარი პრიზი და დიპლომი რიგაში X საკავშირო კინოფესტივალზე (1977 წ.). ქიურის სპეციალური პრიზი — „ოქროს ჯიხვი" თბილისის VI საერთაშორისო კინოფესტივალზე (1977 წ.). საერთაშორისო სიმპოზიუმის საპატიო დიპლომი ერევანში გამართულ კინოხელოვნების საზეიმოებით ესთეტიკური აღზრდის პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე (1977 წ.). პრიზი კარლოვი-ვარის (ჩეხოსლოვაკია) XXI საერთაშორისო კინოფესტივალზე (1978 წ.). საუკეთესო ფილმად აღიარეს და დონატელოს „დავითი" მინიჭეს იტალიაში საერთაშორისო კინოკონკურსზე (1979 წ.). ამ ფილმის შექმნის თვის რეჟისორ თ. აბულაძეს და ოპერატორ ლ. ახვლედიანს მიენიჭათ შოთა რუსთაველის სახელობის პრემია (1979 წ.). ფილმის დადგმისთვის თ. აბულაძე დაჯილდოვდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ვერცხლის მედლით (1980 წ.).

„ქალაქი ანარა" (1976 წ. რეჟისორი ი. კვირიკაძე). მთავარი პრიზი — „გრან-პრი" გამბროგოს (ბულგარეთი) კომედიური ფილმების II საერთაშორისო ჟანოფესტივალზე, ამავე ფესტივალზე პრიზებით დაჯილდოვეს ს. თაყაიშვილი და რ. ესაძე სამსახიობო ოსტატობისათვის (1977 წ.); კინოპრესის საერთაშორისო ფედერაციის პრიზი — „ფიპრესი" ლოკარნოს (შვეიცარია) XXXI საერთაშორისო კინოფესტივალზე (1978 წ.). ბელგრადში „ფესტა-79" ფილმების ტრადიციულ დათვალიერებაზე ფილმმა ლაურეატის წოდება დაიმსახურა (1979 წ.)

„სამანიშვილის დედინაცვალი" (1977 წ. რეჟისორი ე. შენგელაია). მთავარი პრიზი ერევანში XI საკავშირო კინოფესტივალზე (1978 წ.). ქიურის სპეციალური პრიზი ყაიროს (ეგვიპტე) III საერთაშორისო კინოფესტივალზე; ამავე ფესტივალზე ჯილდოებით აღინიშნა ლ. ახვლედიანის და ი. სხირტლაძის ოპერატორული ნამუშევარი (1978 წ.). ამ ფილმის დადგმისთვის ე. შენგელაია დაჯილდოვდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ვერცხლის მედლით (1980 წ.).

„სინემა" (1977 წ. რეჟისორი ლ. ელიავა). სპატიო დიპლომი სალონიკის (საბერძნეთი) საერთაშორისო კინოფესტივალზე, (1979 წ.) კინომოყვარულთა კლუბის „რაკურსის" პრიზი კიევში ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა კინოფესტივალზე „ახალგაზრდობა — 79", (1979 წ.)

„ერთი ნახვით შეეფარება" (1977 წ. რეჟისორი რ. ესაძე). სპატიო დიპლომი ყარტახენის (კოლუმბია) XIX საერთაშორისო კინოფესტივალზე, (1979 წ.).

„რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე" (რეჟისორი ლ. ღოღობერიძე). „გრან-პრი" სან-რემოს (იტალია) საავტორო ფილმების XXII საერთაშორისო კინოფესტივალზე (1979 წ.); მთავარი პრიზი აშხაბადში XII საკავშირო კინოფესტივალზე (1979 წ.). ამ ფილმის დადგმისთვის ლ. ღოღობერიძე დაჯილდოვდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედლით, ხოლო მთავარი როლის შემსრულებელი ს. ჭიაურელი — ვერცხლის მედლით, (1980 წ.). 1980 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა ფილმის შემქმნელ კოლექტივს — სცენარის ავტორს ნ. ერქომაიშვილს, ოპერატორს ნ. ერქომაიშვილს, მხატვარს ე. ლებანიძეს და მთავარი როლის შემსრულებელს ს. ჭიაურელს.

„მე-19 საუკუნის ქართული ქრონიკა" (1978 წ. რეჟისორი ა. რეხვიაშვილი). 4 პრიზი: „ოქროს ლუკატი", გერმანიის კათოლიკური ცენტრის ქიურის პრიზი, კინოპრესის საერთაშორისო ფედერაციის პრიზი — „ფიპრესი" და კინოს საერთაშორისო კონფედერაციის პრიზი მანჰეიმის (გფრ) XXVIII საერთაშორისო კინოფესტივალზე, (1979 წ.).

„უგედურება" (1979 წ. რეჟისორი გ. კანდელაკი.). ქიურის პრიზი გ. კანდელაკს „ხალხური ხასიათის მაღალი ოსტატური დამუშავებისათვის", პრიზი ოპერატორ ჯ. ქრისტესაშვილს — საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისათვის დუშანბეში XIII საკავშირო კინოფესტივალზე, (1980 წ.).

„ძახილი" (1979 წ. რეჟისორი გ. მგელაძე). ალჟკ ცენტრალური კომიტეტის პრიზი და დიპლომი — სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების თემის დამაჯერებლად გადაწყვეტისთვის დუშანბეში XIII საკავშირო კინოფესტივალზე, (1980 წ.)

ალ. გვენცაძე.

სურათზე: კადრები ქართული მხატვრული ფილმებიდან „სამანიშვილის დედინაცვალი", „მშობლიურო ჩემო მიწავ", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „ნატვრის ხე", „დათა თუთაშხია".

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

საკლესისა და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

დედამიწის ზურგზე

15 აპრილი

მ. ტეტჩერი დელში

დელი. ინგლისის პრემიერ-მინისტრი მ. ტეტჩერი ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა ინდოეთის დედაქალაქში. როგორც ინტერნაციონალ პრეს ეიშის საგენტო იუწყება, ინდოეთის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების დროს იგი შეეცდება რამდენადმე ჩაიაზროს მწვავე უთანხმოებანი, რომლებიც ამ ორ ქვეყანას შორის არსებობს მთელ რიგ საერთაშორისო საკითხებში. კერძოდ, ინდოეთი შეშფოთებულია ინდოეთის ოკეანეში იმპერიალისტური სამხედრო ყოფნის ესკალაციის, სპარსეთის ყურის ზონაში ნატოს აგრესიული ბლოკის მოქმედების სფეროს გაფართოების, ამერიკა-ინგლისის ერთობლივი „სწრაფი მოქმედების ძალის" შექმნის საკითხში ბრიტანეთის მთავრობის „ინიციატივების" გამო და ა. შ.

ააშშ

გულისწყრომით გმობენ

ვაშინგტონის ინტერვენციონისტულ კურსს

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობა გმობს ვაშინგტონის ინტერვენციონისტულ კურსს სალვადორის მიმართ. შეერთებული შტატების ზანგთა ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ორგანიზაციის — ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობი ეროვნული ასოციაციის დირექტორთა საბჭომ რ. რეიგანის ადმინისტრაციას მოუწოდა უარი თქვას სალვადორის რეჟიმისათვის იარაღის მიწოდებაზე. სალვადორის საშინაო საქმეებში ამერიკის შეიარაღებული ჩარევის ესკალაცია, განაცხადა საბჭომ თავის სხდომაზე, რომელიც პენსილვანიის შტატის ქალაქ პიტსბურგში გაიმართა, ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყანას „დასავლეთი ნახევარსფეროს ვიეტნამად" გადაქცევის საფრთხეს უქადის.

გაზეთ „ნიუ-იორკ დეილი ნიუსს" მიერ გამოკითხულ ამერიკელთა ორ მესამედს აგრეთვე მიაჩნია, რომ სალვადორის ხუნტასთან ვაშინგტონის დანაშაულებრივი კავშირურთიერთობის განგრძობას შედეგად მოჰყვება სალვადორის ახალ ვიეტნამად გადაქცევა.

ფოტოობიექტივი ამხილებს

ამერიკის ადმინისტრაციამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა სალვადორის საშინაო საქმეებში შეიარაღებული ჩარევის ესკალაციის გზაზე.

ამერიკელ სამხედრო მრჩეველთა ხელმძღვანელობით რეაქციული ხუნტის ჯარისკაცები და პოლიციელები მკაცრ რეპრესიებს მიმართავენ სალვადორის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

სურათზე: ჯალათები მორიგი ოპერაციისათვის ემზადებიან.

კამერა პრეს-საკდესის ფოტო.

ახალი მიჯნების დასალაშქრავად

ბერლინი. მეოთხე დღეა მუშაობას განაგრძობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის X ყრილობა. დელეგატებმა დაამთავრეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშის განხილვა. დისკუსიამ ცხადყო პარტიის სრული ერთიანობა და შეკავშირება მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, დაადასტურა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი ძალღონე მოახმარონ რესპუბლიკაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, განაცხადა ყრილობის ტრიბუნიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ო. ფიშერმა, აკლავაც თანამიმდევრულად გააძლიერებს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების კურსს, რომელსაც სოციალისტური ქვეყნები ადგანან. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება ახალი საგარეო-პოლიტიკური წინადადებები, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა სკკპ XXVI ყრილობაზე. ამ ინიციატივების მიზანია პოლიტიკური და სამხედრო დაძაბულობის შენელების გაღრმავება, სსრ კავშირ-ამერიკის შეეთანხმებული მატების კონსტრუქციული დიალოგის განახლება, დღევანდელობის სხვა საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრა. მშვიდობისათვის ბრძოლის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მოძმე სახელმწიფოების ერთიანობასა და შეკავშირებაზე.

ყრილობის დისკუსიებს წითელ ზოლად გასდევს ის აზრი, რომ სსრ კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის უმდიდრესი გამოცდილება ფრთას ასხამს და რაზომავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტებს ახალი შრომითი მოღწევებისათვის, რომ იგი ფასდაუდებელი ცოდნის წყაროა.

გრძელდებოდა საზღვარგარეთის დელეგაციათა ხელმძღვანელების გამოსვლები.

დელეგატებმა ერთხმად მოიწონეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, პარტიისა და გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს საშინაო-პოლიტიკური და საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის სტრატეგია და ტაქტიკა.

შემდეგ დელეგატები შეუდგნენ დღის წესრიგის მომდევნო პუნქტის განხილვას. — „გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის X ყრილობის დირექტივები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1981-1985 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ". მოხსენება გააკეთა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. შტოფმა.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.



გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტთა X ყრილობა

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის X ყრილობაზე წარგზავნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი შეხვდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტს ე. მიუკენბერგერს. მან მაღალი შეფასება მისცა საზოგადოების მრავალმხრივ მოღვაწეობას.

შეხვედრამ ძმური მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

დაპატიმრეს პუტჩის მონაწილე

მადრიდი. აქ გამოაცხადეს, რომ დაპატიმრეს ესპანეთის არმიის პოლკოვნიკი დიეგო იბანესი ანგლესი. მას ბრალად ედება 23 თებერვალს სამხედრო გადატრიალების ცდაში მონაწილეობა. ეს ოფიცერი იყო იმ მოწოდების ავტორი, რომლის საფუძველზეც საგანგებო წესები გამოცხადდა მესამე სამხედრო ოლქში. ეს ერთადერთი ოლქი იყო, რომლის სარდლობამ მხარი დაუჭირა მადრიდში პუტჩისტების მოქმედებას.

საპრეტესტო ნოტა

14 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს გადაეცა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა იმის გამო, რომ 11 აპრილს სან-ფრანცისკოში მოეწყო დანაშაულებრივი თავდასხმა სსრ კავშირის გენერალურ საკონსულოზე, რომლის შენობაშიც ცეცხლსასროლი იარაღი ისროლეს. მხოლოდ შემთხვევით მოხდა, რომ შენობაში მყოფ თანამშრომელთაგან არავინ არ დაზარალებულა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო, აღნიშნულია ნოტაში, პროტესტს აცხადებს სსრ კავშირის სან-ფრანცისკოს გენერალური საკონსულოს მიმართ ჩადენილი ტერორისტული აქტის გამო, მოითხოვს, ამერიკის ხელისუფლებამ მკაცრად დასაჯონ დამნაშავენი და დაუყოვნებლივ განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა დაწესებულებებისა და მოქალაქეების უშიშროება და საქმიანობის ნორმალური პირობები.



გაანახლებული ანჩისხატის უბანი

ᲥᲕᲔᲚᲐᲡ მოგეხსენებათ, რა დიდი სიხარული მიანიჭა ჩვენს თანამოქალაქეებსა და მოყვარად ჩამოსულ სტუმრებს თბილისის ძველი უბნების განახლებამ. საჩინოდ გამოიკვეთა ქალაქის თავისებური კოლორიტული, მისი არქიტექტურული მხატვრული სახე... დედაქალაქის ისტორიული ნაწილის გაცოცხლება კი ისევ გრძელდება.

ვისაც ამ დღეებში ბარათაშვილის ხიდთან, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსათვის თვალი შეუყვია, მის ყურადღებას უთუოდ მიიქცევდა დიდი სამშენებლო სამუშაოები, სადღაა ტრიკოტაჟის ფაბრიკის ძველი შენობა, სანაპიროს გაყოლებით არსებული ბარაკული, ამორტიზებული სახლები. ახლა მთელ ამ ტერიტორიაზე ეკსკავატორები, ტრაქტორები, ბულდოზერები გუგუნებენ, იტრომანქანებ ერთიმეორის მიყოლებით გააქვთ მიწა და ეზიდებიან საშენ მასალას.

ინკომშენის ტრესტის № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოსა და ამავე ტრესტის მექანიზაციის სამმართველოს მუშაკებმა აქ დიდი სამუშაოები შეასრულეს, მნიშვნელოვნად გაფართოეს ბარათაშვილის ქუჩიდან სანაპიროზე ჩამავალი გზა, რომლის კეთილმოწყობის შემდეგ ტრანსპორტს ნორმალური მოძრაობის პირობებს შეუქმნიან. დაამთავრეს მიწისქვეშა გასასვლელის აგება. იგი შავთელის ქუჩას სანაპიროსთან აკავშირებს. ახლა მიმდინარეობს ამ გასასვლელის მოპირკეთება. აქვე, ძველი თბილისის სანახავად მოსული ტურისტების მომსახურე ტრანსპორტისათვის ბარათაშვილის ხიდთან კეთდება ავტოსადგომი.

სანაპიროდან მთელი თავისი ბრწყინვალებით წარმოჩენდა ქართული კულტურის უძველესი ძეგლი — VI საუკუნის ანჩისხატის ეკლესიის სამნავიანი ბაზილიკა. მას გვერდით შენდება ორიგინალური თაღოვანი სარკმელებით დამშვენებული ორსართულიანი შენობა, ბევრი სახლი ხარაჩოებშია ჩასმული.

იმის გასარკვევად, თუ რა კეთდება აქ, რა სახეს მიიღებს შემდგომში ანჩისხატის უძველესი უბანი და მისი მიმდებარე ტერიტორია, ვესაუბრეთ თბილისის მთავარ არქიტექტორს, ბარათაშვილის ქუჩის, კიბალჩიჩის აღმართის, დიდი პოეტის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის რესტავრაცია-რეგენერაციის პროექტის ავტორს, რესპუბლიკის დამსახურებულ არქიტექტორს **შოთა ყავლაშვილს**, რომლის ნამუშევარი შოთა რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად არის წარდგენილი. მისი ხელმძღვანელობით თბილისქალაქპროექტის მეოთხე არქიტექტურულ სახელოსნოში კვლავ ხორციელდება დედაქალაქის ამ უბნის რესტავრაცია-რეგენერაციის პროექტზე მუშაობა.

— დიახ, განვაგრძობთ იმ დიდ კეთილ საქმეს, რომელსაც ჩვენი პარტია და მთავრობა, ქალაქის ხელმძღვანელობა კვლავ ასეთ დიდ ყურადღებას აქცევენ, — გვითხრა მან. — მონაკვეთი, სადაც ამჟამად ვმუშაობთ, მოიცავს ბარათაშვილის, შავთელის ქუჩებს და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ერეკლეს მოედნამდე. სანაპიროს ამ მხარეს, ბარათაშვილის ხიდთან სატრანსპორტო კვანძის შეუფერებელი მოძრაობის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, იარეთვე ძველი თბილისის ამ უბნის რესტავრაცია-რეგენერაციის მიზნით, შევიმუშავეთ პროექტი. იგი განიხილა მთავარმა არქიტექტურულ-დაგეგმარებითმა სამმართველომ, ძეგლთა დაცვის სამმართველომ და ახალი წლიდან უკვე შევიდოდეთ ამ პროექტის ხორცშესხმას. მისი დასრულება მაისის მეორე ნახევრისათვის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავისათვის გვაქვს გადაწყვეტილი.

— რას გულისხმობს თქვენი პროექტი, რომელ სახლს აღადგენთ? აი, მაგალითად, შავთელის ქუჩაზე ჩვენი ყურადღება მიიქცია პატარა ორსართულიანმა უძველესმა სახლმა, რომელსაც ფასადის მხარეს იშვიათი ხილამაზის აივანი ამშვენებს, ხოლო ეზოდან — ხის მრგვალი ჩუქურთმებით შემკული ხვეული კიბე. ასეთი სახლები მხატვრის ტილოზე თუ გვინახავს.

— დიახ, ეს თბილისში ერთ-ერთი უძველესი სახლი გახლავთ. ასეთ ნაგებობებს, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ თავიანთი მხატვრული სახე ვტოვებთ, აღვადგენთ და ვცდილობთ მის მობინადრეებს კარგი საცხოვრებელი პირობები შევუქმნათ. ისეთ ამორტიზებულ სახლებს, რომლებიც პირწყლა ყარგავენ ძველ უბნებს, ვიღებთ და ამ ქუთხეს თავის მხატვრულ ფერს ვუნარჩუნებთ. შავთელის ქუჩაზე მდებარე ნომერ ოცდამეორე სახლს, რომელიც თქვენ აღნიშნეთ, აღადგენს საბინაო და კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტრესტი „კომუნმშენი“. საერთოდ, უნდა გითხრათ, რომ საერესტავრაციო სამუშაოებში მრავალი ორკანონიზაცია იტოიორად მონაწილეობს. ბევრმა მთვანმა სურვილი გამოთქვა, რომ თავისი სახსრები გაიღოს ძველი თბილისის განახლებისათვის. მაგალითად, ამ უბანში ვაშენებთ ლაღიძის წყლების საფირმო მაღაზიას თავის სახაჭაპურეთი, რომელიც უკვე სანაპიროდან კარგად მოჩანს. მას საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს შეკვეთით აგებს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მე-11 ტრესტი მოძრავ-მექანიზაციისა და შავთელის ჩიხის ტერიტორია, სადაც ანჩისხატის ეკლესიაა, გადაეცა ძეგლთა დაცვის საზოგადოებას, ამჟამად აქ ძეგლთა დაცვის სამმართველოს სარესტავრაციო-საწარმოო გაერთიანების მუშაკებმა სამრეკლო გამაგრეს, მიმდინარეობს ანჩისხატის ეზოში არსებული სახლების რესტავრაცია, ამ სამუშაოების შესრულება იკისრა თბილისმშენის მესამე სამშენებლო ტრესტმა. აღსანიშნავია, რომ ანჩისხატის ეზოში აღმოჩნდა ძველი ნასახლარი, რომლითაც არქეოლოგები დაინტერესდნენ.

სარესტავრაციო სამუშაოებში მონაწილეობს მრავალი ორგანიზაცია: თბილისკანალიზაციის, თბომეურნეობის, ელექტროგანათების სამმართველოები, კეთილმოწყობის სამმართველო და სხვა ორგანიზაციები. მთელი ამ უბნის სარესტავრაციო სამუშაოების ორგანიზაციისათვის შექმნილია საკოორდინაციო შტაბი, სადაც ყოველდღიურად იკრიბებიან მშენებლები და კირთვის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის ა. კანდელაკის ხელმძღვანელობით განიხილავენ ყოველდღიურ სამუშაოებს, ხოლო შაბათობით თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გ. გაბუნიას, ან მისი პირველი მოადგილის ნ. ნეფედოვის თავმჯდომარეობით იმართება ოპერატიული თათბირები, რომლებშიც მონაწილეობენ ტრესტების, სამმართველოების ხელმძღვანელები. ისინი წყვეტენ ყოველი კვირის სამუშაოებს.

ჩქარობენ მშენებლები, ჩქარობენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან იუბილეს კიდევ უფრო გალამაზებული, განახლებული შეხვდეს დიდი ქალაქის უძველესი უბანი.

შემდგომში სარესტავრაციო სამუშაოები გაგრძელდება სანაპიროსა და ერეკლე II-ის მოედანს იქით, სიონის ეკლესიამდე.

ლ. ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ასეთ სახეს მიიღებს სანაპიროდან შავთელის ქუჩა რეკონსტრუქციის შემდეგ.

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲡᲢᲐᲣᲠᲐᲪᲘᲝ-ᲡᲐᲠᲔᲒᲔᲜᲔᲠᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ

ᲥᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲩᲘᲡᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ.

ᲡᲐᲛᲘᲕᲔ ძირითადი ევროპული ტურნირის ნახევარფინალური მატჩები ახლა სპორტულ მიმმბილველთა ყურადღებას ცენტრშია. საერთო აზრი ისეთია, რომ ჯერ არც ერთი შეხვედრის ბედი საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, თუმცა გუნდები, რა თქმა უნდა, არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ.

ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲖᲔ

ᲘᲛᲔᲓᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲡ

ბევრი რამ დაიწერა თბილისის მატჩზე. „დინამოს“ ბრწყინვალე „შოუ“ — ასე დაასათაურა მატჩის ანგარიში ბერლინის „დოიჩეს შპორტეხომ“. „ფეიენოორდის“ მძიმე ჭრილობები — ეს სიტყვები წარმმძღვარა შეხვედრის აღწერას როტერდამის გაზეთმა „ჰეთ ფრიე ფოლკმა“. საინტერესოა, რომ მწვრთნელმა ვაცლავ ივეკემა შეხვედრის წინ თავისიანებს „დინამოს“ ფეხბურთელები დაუხასიათა როგორც „ტექნიკურად ბრწყინვალე, მაგრამ რამდენადმე გატეხილი მოთამაშეები“. „დოიჩეს შპორტეხო“ ირონიულად დასძენს, გატეხილებად თბილისელი ფეხბურთელები მატჩის დროს აშკარად არ გამოიყურებოდნენ და სავსებით დამაჯერებლად გაიმარჯვეს. ბუდაპეშტის „ნეპშპორტმა“ გამოქვეყნა მასალა, სადაც მოყვანილია ვაცლავ ივეკეის სიტყვები მატჩის შემდეგ. იგი „დინამოს“ მეტად მაღალი კლასის გუნდად მიიჩნევს და განსაკუთრებით გამოყოფს ყიფიანს. როგორც „ფეიენოორდის“ ისლანდიელმა თავდამსხმელმა პეტურსონმა განაცხადა, მის პარტნიორებს ეგონათ, რომ ყველაფერი ისევე კარგად წავიდოდა, როგორც „სოფიის „სლავიასთან“, მაგრამ „დინამო“ სულ სხვა კლასის გუნდი აღმოჩნდა. მიმმბილველებმა გიიხსენეს თბილისელთა მიერ ლონდონში დიდებულად მოგებული მატჩი და სავსებით დაეთანხმნენ ინგლისელ ჟურნალისტებს „დინამოს“ მაღალ შეფასებაში. „ფეიენოორდის“ წინააღმდეგ თბილისელები ისეთი აღმავლობის, აღტყინებით და მიზანდასახულად თამაშობდნენ, რომ ჰოლანდიელი ფეხბურთელები დროდადრო პირდაპირ უმწეოდ გამოიყურებოდნენ“ — ასე თვლის „დოიჩეს შპორტეხოს“ მიმმახილველი. იგი აღნიშნავს, რომ „დინამოს“ განაპირა მცველები ისე უტიკვენ, როგორც ნამდვილი თავდამსხმელები. გერმანელი ექსპერტი ხაზს უსვამს იმ საფრთხესაც, რომელსაც მეტოქეს უქმნის ჩივაძის, ბრწყინვალე ტექნიკის მქონე მცველის, შორეული დარტყმები.

გერმანელი მიმმბილველების აზრით, იენის „კარლ ცაისს“ ორმა ბურთმა გადამწყვეტი უპირატესობა უნდა მიანიჭოს „ბუფფიკასთან“. ნახტიგალისა და ბიანგოს კორესპონდენცია „დოიჩეს შპორტეხოში“ ასეა დასათაურებული: „30-წუთიანმა ფოიერვერკმა ფინალის კარი გაგვიხსნა“. „კარლ ცაისს“ კვლავ აკლდა ორი წამყვანი მოთამაშე: მცველი ვაიზე და გარემარი ტროჩა, მაგრამ მთელი შეხვედრა დიდებულად წარმართა. „კარლ ცაისმა“ გაგვაოცა თავისი სწრაფი ტემპით“, — თქვა პორტუგალიელთა ნახევარმცველმა ალვესმა. „საპასუხო მატჩის დროს 80 ათასი მაყურებელი ამოგვიდგება მხარში. ამასთან წამყვანი მოთამაშეები პიუტრა და შალანაც გვეყოლება. 0:2-ის მიუხედავად, მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი“, — განაცხადა „ბუფფიკას“ მწვრთნელმა ლაიოშ ბაროტამ და დასძინა, რომ სანამ პენსიაზე გავიდოდეს (იგი 67 წლისაა), ევროპული თასის მოგების იმედს არ ჰკარგავს. „ბუფფიკაში“ მოთამაშე ბრაზილიელმა ჟორგე გოშესმა განაცხადა, „ბუფფიკას“ ამდენი მაღალი კლასის ფეხბურთელი კარგა ხანია არა ყოლია და ამიტომაც უნდა გავიდეს ფინალშიო.

ჩემპიონთა თასზე „ლეგერპულსა“ და „ბაიერნის“ ფრე (0:0) შეფასებული იყო როგორც მხოლოდ სტუმრებისათვის ხელსაყრელი. „ეს მდორე, ჩემთვის იმედის გამცრუებელი თამაში იყო“, თქვა განთქმულმა ინგლისელმა ფეხბურთელმა ბობი ჩარლტონმა. აქ უპირველეს ყოვლისა თავი გამოიჩინეს მხოლოდ მეკარეებმა — კლემენსმა („ლეგერპული“) და იუნგჰანსმა. „ბაიერნის“ უნგრელმა მწვრთნელმა პალ ჩერნაიმ თქვა: „ამოცანა ჯერ არ არის ამოხსნილი“. „სტუმრებმა უდავოდ დაიმსახურეს 0:0, მაგრამ ჩვენ კიდევ გვაქვს შესაძლებლობა, — გავიდეთ ფინალში, ამჯერად არ გაგვიმართლა“, — ასეთია „ლეგერპულის“ ნახევარმცველის აზრი.

ყველაზე მეტი, 100 ათასი მაყურებელი მოვიდა მადრიდის სტადიონზე „რეალისა“ და მილანის „ინტერის“ მატჩზე. ესპანელთა მწვრთნელს ვუიადინ ბოშკოვს (იუგოსლავია) ეშინოდა ამ შეხვედრისა, რადგან ძირითადი მეკარე ბარსი მონაცვლეს რემონი აკლდა. „ინსი შემცვლელი აგუსტი ნერეულობდა, მაგრამ მილანელებმა გაუადვილეს „რეალს“ ამოცანა ერუ დაცვის არჩევით. „რეალმა“ მოიგო 2:0. მატჩში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ შტილიანი სარტილიანა და ხუანიტო. სარტილიანა: „ჩვენ ორ გოლზე მეტი სხვაობით უნდა მოგვეგო, მაგრამ ესეც საკმარისია ფინალში გასასვლელად“. „ინტერის“ მცველი ბეგრამი: „თუ აქ „რეალს“ გაუმართლა, მილანში უკუღმა მოხდება: ჩვენ ყველანი იერიშზე გადავალთ, რათა ფინალში თამაშის უფლება მოვიპოვოთ“. იტალიელი ჟურნალისტი საკო არ უარყოფს ბერგმეის: „ყველამ იცის, რომ „რეალს“ დაცვაც ემარჯვება, ამასთან „ინტერი“ ის გუნდი არ გახლავთ, ბევრი გოლი რომ გაიქნს“.

დიდი სიმძაფრით გამოირჩეოდა ორივე მატჩი უეფას თასზე. „იფსვიჩ თაუნმა“ (1:0 „კიოლნთან“) დაკარგა ის ბრწყინვალე ფორმა, იანვარ-თებერვალში რომ ჰქონდა. მისი მწვრთნელი ბობი რობსონი ამას აღიარებს, მაგრამ მიიჩნევს, რომ „კიოლნი“ მეტი ანგარიშით უნდა დაემარცხებინა. მაძღალი შეფასება მისცა დასავლეთგერმახელთა ცნობილ მეკარეს შუმახერს, მაგრამ დასძინა, რომ მისმა თავდაცვლებმა ჩინებული შესაძლებლობები ვერ გამოიყენეს. როგორც „კიოლნის“ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა რინუს მიხელსმა თქვა, შედეგით ძალიან კმაყოფილია, მაგრამ თამაშში იმედი გაუცრუა.

„ძალიან ახლოს ვართ ფინალთან“, — ასე განაცხადა „აც-ის“ ალკმაარის“ წამყვანმა მოთამაშე პიტერსმა. მას შემდეგ, რაც გასვლითი მატჩი „სოფიასთან“ ფრე (1:1) დამთავრდა. ამ შეხვედრაში ჰოლანდიელები, რომლებმაც წლეულს ნამდვილი ფურორი მოახდინეს ეროვნულ ჩემპიონატში (ეს თამ სულ ორი ქულა დაკარგეს), უკეთესად გამოიყურებოდნენ და ყველა ექსპერტი მოელის მათ ფინალში გასვლას.

ევროპული ტურნირების პირველი ნახევარფინალურ მატჩებს მიმმბილველები ძირითადად „პირველ ტაიმებად“ თვლიან. ვნახოთ, რას მოგვიტანს თამაშის მეორე გა... დამწყვეტი „ნახევარი“.

გ. ᲑᲐᲛᲠᲔᲙᲐᲔᲚᲘ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ 14 აპრილს გ. მ. მარკოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სესია. მის მუშაობაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები.

სესიაზე განიხილავენ სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილ ნაწარმოებებს. საუკეთესო ნამუშევრები შეირჩევა კონკურსში შემდგომი მონაწილეობისათვის.

„ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ-81“

ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ დედაქალაქის თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის 400 წარჩინებული სტუდენტი გაემგზავრა სალაშქროდ საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში. „სტუდენტური დღეები-81“-ის ფარგლებში ისინი თბილისიდან სპეციალური მატარებლით გაემგზავრნენ ვოლგოგრადში. სტუდენტებთან ერთად ვოლგაზე მდებარე ლენინგრადისა და მოკავშირე მოსილ ქალაქში გაემგზავრნენ მათი აღმზრდელები — პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც დიდი სამამულო ომის წლებში იბრძოდნენ სტალინგრადის წმიდათაწმიდა მიწაზე.

— გმირ ქალაქში ყოფნის დღეებში ვნახავთ მამაის ყორღანს, დავათვალიერებთ ბევრ სხვა ღირსშესანიშნაობას, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ლაშქრობის მონაწილემ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსმა დ. ლოლაძემ, — ქალაქის საწარმოთა შრომითს კოლექტივებსა და სასწავლებლებში მოეწყობა შეხვედრები ომის ვეტერანებთან და წმიელ მეკავლებთან, გაიმართება ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები.

ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲥᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲡᲐᲮᲔ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲤᲣᲤᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ

ᲐᲮᲚᲐ, როცა პოეტის ცხოვრება უკვე ისტორიად იქცა, მისი ბიოგრაფიის ყოველი ფურცელი, მისი ნათელი შემოქმედების ყოველი შტრიხი განსაკუთრებით ძვირფასი ხდება. ყოველი ახალი დოკუმენტი, მათ შორის ფოტოსურათიც, რომელიც პოეტის იერს ახასიათებს, გვეხმარება გავიგოთ, თუ როგორ ცხოვრობდა იგი, რას აკეთებდა დროის ამა თუ იმ მონაკვეთში...

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ მაიაკოვსკის ეს ფოტოსურათი უცნობია მისი ნაჭის თაყვანისმცემლებისათვის. როგორც შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ბ. პირადოგი ამტკიცებს, ეს ფოტო შეიძლება მივაკუთვნოთ პოეტის ნაკლებად ცნობილ სურათებს.

დროისაგან გაყვითლებული ფოტოსურათი უკვე რამდენიმე წელიწადია ინახება თბილისელი ინჟინრის ვლადიმერ სარაჯიშვილის ოჯახურ არქივში. სარაჯიშვილისათვის იგი ახლო ნათესავს მარიამ გაბაშვილს უჩუქებია გარდაცვალების წინ.

მალო — ასე ეძახდნენ მას შინაურები და მეგობრები — თბილისში ოდესღაც ცნობილი პოლკის ექიმ გიგო გაბაშვილის დიდი ოჯახის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო, სოლოლაკში ორსართულიანი ძველებური სახლის კარი ყოველთვის ღია იყო ხელოვნებით, ლიტერატურით, მეცნიერებით გატაცებული ადამიანებისათვის. ლამის ყოველ საღამოს ამ სტუმართმოყვარე სახლში გაცხარებით კამათობდნენ სამხედრო ხელოვნებაზე, განიხილავდნენ ცნობილ ადვოკატთა ბრწყინვალე გამოსვლებს, იმართებოდა დისკუსიები პოეზიაში ახალ მიმართულებათა შესახებ, რომლებიც ცვლიდა დეკადენტურ „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“, ეღერდა კლასიკური მუსიკა... სხვადასხვაგვარი გატაცება ჰქონდათ გიგო გაბაშვილის შვილებს — ტემპერამენტიან ახალგაზრდა ოფიცერ ლევანს (იგი დაიღუპა დასავლეთის ფრონტზე პირველი მსოფლიო ომის დასაწყისშივე), გონიერ იურისტს დიმიტრის, მგზნებარე ბესტუჟეველ კატოს და ტანწვრილ მთრთოლვარე მალოს, რომელსაც ჯერ კიდევ არ დავიწყებოდა მომღერალ ისინი გამოვიდნენ სახაზინო თეატრის სცენაზე (ამჟამად ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი).

ამის შესახებ პეტერბურგის გაზეთი „თეატრ ი ისკუსტვო“ 1914 წლის 20 აპრილს ნომერში თბილისიდან მიღებულ კორესპონდენციაში წერდა: „ფუტურისტების საღამოზე შეკრებილმა საზოგადოებამ დრო საკმაოდ საინტერესოდ და მხიარულად გაატარა, ბ-ნი მაიაკოვსკი კარგი ორატორი გამოდგა“.

წარმოდგენის მონაწილე პოეტი დ. ბურლიუკი შემდგომში ამ საღამოს შესახებ წერდა: „მახსოვს ის გაკვირვება, ქართველთა შორის რომ გამოიწვია მისასალმებელმა სტიყვამ, რომლითაც მაიაკოვსკიმ ექციის დროს ადგილობრივ მოსახლეობას მიმართა. მაიაკოვსკიმ ეს ქართულად წარმოთქვა“.

ფუტურისტების გამოსვლას თბილისში სახაზინო თეატრის სცენაზე ადგილობრივი ბურჟუაზიული პრესა მტრულად შეხვდა, ოფიციოზურმა, რესპექტაბელურმა გაზეთმა „კავკაზმა“ საღამოს შესახებ ანგარიში „შემთხვევების“ განყოფილებაში მოათავსა, ამით მან ხაზი გაუსვა ფუტურისტების შემოქმედებისადმი თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას.

სტატია მთავრდება ბურჟუაზიული კრიტიკოსის სარკასტული გამოხდომით: „საით გასწია შემდეგ ხსენებულ ცნობილ მოსკოველ ფუტურისტთა სამეულმა ნადავლის გასაყოფად ზუსტად არავინ იცის“.

მაგრამ თურმე სცოდნიათ. მარიამ გაბაშვილი იხსენებდა, რომ წარმოდგენის შემდეგ პოეტები სტუმრად მიუწვევიათ გიგო გაბაშვილის ოჯახში, სადაც მათ ახალი ხელოვნების თაყვანისმცემელთა წრეში გაუტარებიათ დრო დილამდე. დამშვიდობებისას ვლადიმერ მაიაკოვსკის ყაზაწში გადაღებული თავისი ეტყობა, „უახლესი“ ფოტოსურათი ნორჩი დიასახლისისათვის მალოსათვის უძღვნია, ავტოგრაფით „მაიაკოვსკი, თბილისი, 28 1914 წ.“

1914 წლის 29 მარტს ფუტურისტები უკვე ბაქოში გამოვიდნენ: ამგვარად შეიძლება დავაზუსტოთ თარიღი, რომელიც ფოტოსურათზე თვით მაიაკოვსკის წაუწერია გაკრული ხელით და თვე, რომლის აღნიშვნაც პოეტს დავიწყებია, მარტი ყოფილა.

Ე. ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲩᲘᲩᲘᲙᲘ,
(საქინფორმის კორ.).

ᲡᲐᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲔᲑᲘ

ᲛᲚᲔᲠᲘᲡ ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲥᲐᲡᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ დიდი წარმატებით ჩაიარა რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის, სსრ. კავშირის დიდი თეატრის სოლისტის მაყვალა ქასრაშვილის გასტროლებმა. საბჭოთა საქართველოს 60 წლისთვის წინ მომღერალი მსმენელების წინაშე წარდგა თავისებური შემოქმედებითი ანგარიშით — გამართა სოლო კონცერტი, რომლის დროსაც შეასრულა რახმანინოვის რომანსები, არიები პუჩინისა და ვერდის ოპერებიდან, იმღერა ტატიანასა და დეზდემონას პარტიები თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სპექტაკლებში: ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინისა“ და ვერდის „ოტელოში“.

საქინფორმის კორესპონდენტი მ. გაბრიაძე შეხვდა მომღერალს და სთხოვა გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებები, შემოქმედებითი გეგმები.

— თბილისში ყოველი გამოსვლა ჩემთვის სპატიოცაა და ამაღელვებელიც, — თქვა მაყვალა ქასრაშვილმა. — ჩემი შემოქმედებითი ბიოგრაფია დაკავშირებულია თბილისის კონსერვატორიასთან, ჩემს პედაგოგთან ვერა ალექსანდრეს ასულ დავიდოვასთან. მშობლიურ ქალაქში გამოსვლისას მუდამ ვფიქრობ, რომ უწინარესად მათ ვაბარებ გამოცდას, ვაბარებ ანგარიშს ჩემი შემოქმედების შესახებ.

რაც შეეხება ჩემი უახლოესი მომავლის გეგმებს, მისში კვლავ ვაპირებ თბილისში ჩამოვიდე საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო კონცერტში მონაწილეობისათვის. ამის შემდეგ გაიმართება ჩემი სოლო კონცერტები მოსკოვსა და ლენინგრადში.

აგვისტოში ესპანეთში მომიწევს გამგზავრება. მადრიდში ლონდონის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შევასრულებ მალერის მეოხე სიმფონიას ხმისათვის.

ნოემბერში კონცერტებს გავმართავთ ფინეთის ექვს ქალაქში. დეკემბერში კი ლონდონში სახელგანთქმული საოპერო თეატრის „კოვენტგარდენის“ სცენაზე შევასრულებ ანას პარტიას მოცარტის ოპერაში „დონ-ჟუანი“. სპექტაკლში ჩემი პარტნორი იქნება სახელგანთქმული იტალიელი მომღერალი რუჯერო რაიმონდი, ხოლო სპექტაკლს უდირიჟორებს ცნობილი ინგლისელი მუსიკოსი კოლინ დევისი. (საქინფორმი).

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲐ: მღერის მაყვალა ქასრაშვილი.

Გ. ᲜᲐᲮᲣᲪᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ნებაყოფლობითს სპორტსზოგადოება „ქართველოს“ “ახალ სპორტულ კომპლექსში დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენელთა მონაწილეობით „სტუდენტთა დღეები-81-ის“ პროგრამით მიმდინარეობს შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშსა და ხელბურთში.

ოსტატთა პროგრამით მოასპარეზე მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრების მრავალჯერ შეყველა საპრიზო ადგილი დაიკავეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენებმა — სპორტის ოსტატებმა ლ. დოლიძემ —38,25 ქულა, მ. მორბედაძემ — 37,5 და მ. გუნიამ —36,9 ქულა.

პირველთანრიგოსან გოგონათა შორის წარმატება მოიპოვეს უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტებმა ლ. ტყეებუჩავამ და ი. ატოევამ.

ხელბურთელთა შეჯიბრება გრძელდება. (საქინფორმი).

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲗᲘᲗᲘᲜᲘ გაზეთის საშუალებით მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და იმ პირთ, რომლებმაც დაბადების 70 წელი და ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოება მომილოცეს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲢᲣᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ და მეორე ლიგის მეცხრე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატებზე გათამაშდა მეოთხე ტურის მატჩები.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ლიგაში მოასპარეზეებმა ქუთაისის „ტორპედომ“ და ლანჩხუთის „გურიამ“ სტუმრად გამართეს შეხვედრები. ორივე გუნდი დამარცხდა: „ტორპედო“ ხარკოვის „მეტალისტთან“ — 0:2, ხოლო „გურია“ — ეორონეჟის „ფაკელთან“ — 0:1, დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ზარია“-„ნისტრუ“ — 0:0, კიევის „სკა-ოდესის „სკ — 0:0, „შინიკი“-„პამირი“ — 1:1, კოსტრომის „სპარტაკი“-„ბუსტონი“ — 1:0, „ისკრა“-„დინამო“ — 1:0, „ეაგირისი“-ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — 0:2, „კუზბასი“-„კოლესი“ — 2:0, „ტრაქტორი“-„მეტალურგი“ — 1:1.

ᲛᲔᲝᲠᲔ ლიგის გუნდებს შორის შეჯიბრების მონაწილე საქართველოს გუნდებმა მეოთხე ტურის შეხვედრები ასე დამთავრეს: სა... ტრედიის „ლოკომოტივი“-„ფოლადი“ — 4:0, ფოთის „კოლხეთი“-თბილისის „ლოკომოტივი“ — 0:0, სოხუმის „